1 ივნისი "რუსთავი 2"-ის და "24 საათის" დაბადების დღეა!
ვუსურვებთ მეგობრებს და კოლეგებს "რუსთავი 2"-დან

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | კვირა, 1 ივნისი, 2003 წელი. №148 (360) | ფასი 50 თეთრი

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

ჩვენც უნდა გავიზარდოთ!

ორთაჭალის ციხე შიგნიდან გატყდა

ინგა ალავიძე

ორთაჭალის ციხე გუშინ კიდევ ერთხელ აირია. გამთენიისას მე-5 საპყრობილის "კანონიერი ქურდების" დროებითი საცხოვრებლის - 49-ე საკნისა და მის გვერდით მდებარე საკნების კარი გაიღო და 15-მა ტუსაღმა საპატიმრო ხმაურის გარეშე დატოვა. ციხის შენობიდან ეზოში გამოსულმა პატიმრებმა "გუბერსკის ციხის" ტერიტორიაზე იზოლატორის სასეირნო ადგილას კედელი გაანგრიეს, მშვიდად გაუჩინარდნენ.

არსებული ინფორმაციით, გაქცევა "შავი სამყაროს" ლიდერების მიერ იყო ორგანიზებული. საპყრობილე ტიტულიანმა ტუსაღებმა დატოვეს - "კანონიერმა ქურდმა," ციხის სამმა მაკონტროლებელმა და მათთან დაახლოებულმა კრიმინალებმა.

"ეს არ არის გაქცევა, ეს გაშვებაა. იმას, რაც მოხდა, სხვა სახელს ვერ დაარქმევ. სქემა, რომლითაც ტუსაღები მოქმედებდნენ, იმის დასტურია, რომ გუშინ გაქცევა არ მომხდარა. ეს არის თანამშრომელთა ღალატი და არ არის საუბარი მხოლოდ ბადრაგზე. დანაშაული ჩაიდინეს დაცვის თანამშრომლებმა, რეჟიმის ხელმძღვანელმა, ციხის უფროსმა – ამ საქმეში ყველაა ჩარეული, ყველა, ვისაც რეჟიმის დაცვა ევალებოდა. წარმოიდგინეთ, რამდენიმე საკნის კარი გაიღო, გაიღო ეზოში გასასვლელი კარებიც და პატიმრები, ყოველგვარი ხმაურის გარეშე, გავიდნენ გარეთ. ის, რომ განგრეულია კედელი, არაფერს ნიშნავს.

გაგრძელება A3 გვერდზე

იმედიანი ანგარიში

მაკა ჭაიანი

"ამით დასრულდა საქართველოში ჩემი მოღვაწეობის პირველი ეტაპი," - განუცხადა გუშინ ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა "შერატონ-მეტეხი პალასში" შეკრებილ საზოგადოებას: ქართული პოლიტიკური ელიტის, ფაქტობრივად, მთელი სპექტრის წარმომადგენლებს, მეცნიერებს, მწერლებს, მსახიობებს. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი სახელისუფლო სავარძლის დაკავებას არ აპირებს (ამას ბიზნესმენი ხაზგასმით აღნიშნავს), პატარკაციშვილს აქვს ქვეყანაში გასატარებელი ცვლილებების ერთერთი არქიტექტორის ამბიცია. პირველ აგურად ამ საქმეში, ალბათ, იმ ფონდის საქმიანობა უნდა ჩაითვალოს, რომლის შედეგების პრეზენტაციასაც ეს შეხვედრა მიეძღვნა.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ანტონ პირველის ვლადიმირში მოღვაწეობის შემსწავლელი ექსპედიცია, ინდოეთის ექსპედიცია ქეთევან წამებულის ნეშთის მისაკვლევად, იერუსალიმის ექსპედიცია წმინდა მიწაზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესასწავლად, მონაწილეობა თბილისის მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაში, კულტურის ძეგლების, ტაძრების, სინაგოგების რესტავრირება, სასწავლო დაწესებულებების რეკონსტრუქცია და აღჭურვა, ფესტივალების ორგანიზება, ცნობილ ადამიანთა ბიოგრაფიების გამოცემა, მათი საიუბილეო საღამოების გამართვა, ქართველ სპორტსმენთა დაფინანსება – ეს ის პროექტებია, რომელთა განხორციელებაზეც ბადრი პატარკაციშვილის ფონდის წარმომადგენლები "მეტეხში" საუბრობდნენ.

გაგრძელება A4 გვერდზე

„დემოკრატები" კახეთს „სუსტ წერტილად" არ მიიჩნევენ

ლენა მიქაძე

წინასაარჩევნოდ "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" კახეთს "შეუტიეს". მედიკო მეზვრიშვილის სამფლობელოში მათი სვლა დიდი პომპეზურობით არ გამოირჩეოდა. თელავში დიდი დაფის და ნაღარის გარეშე ჩასულმა ჟვანიამ და მისმა თანაპარტიელებმა პატარა თეატრის შენობაში (დიდში არ შეგვიშვესო) სამხარეო ორგანიზაცია დააფუძნეს. კახეთის ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩიეს პროფესიით ჟურნალისტი, ზურაბ არსენიშვილი (გიორგი არსენიშვილის ძმა), მოადგილედ - კახა გემაზაშვილი, ასევე, პოლიტსაბჭოც.

"დემოკრატების" ლიდერი, ზურაბ ჟვანია თავის კახელ მხარდამჭერებს სამომავლოდ უკვე სტადიონზე ჰპირდებოდა შეხვედრას. იყო სხვა დაპირებებიც, თუმცა - არც ისე ბევრი. რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე კახელ და ცენტრიდან ჩასულ "დემოკრატებს" "დღეისათვის არსებულ გადაცდომებთან ბრძოლას და უღალატობას" ჰპირდებოდა, ზოგიერთი ადგილობრივი - მეზვრიშვილს პენსიაზე გაშვებას, ელენე თევდორაძე კი, მეზვრიშვილის უფლებების დაცვასთან ერთად, ქალბატონი მედიკოსგან კახელების დაცვას. **"ქალბატონ მედიკოს ვპირდებით, ხელისუფლებაში თუ მოვალთ, პენსია 14 ლარზე მეტი ექნება. ნუ გეშინიათ მეზვრიშვილის. მე მასთან დაპირისპირება ერთხელ უკვე მომიწია და ისე კოხტად მოვუგე... პირიქით, მას უნდა ეშინოდეს თქვენი,"**- გაიხსენა ძველი ბატალიები თევდორაძემ.

როგორც ჩანს, თეატრის პატარა დარბაზში შეკრებილ ხალხს მედიკო მეზვრიშვილის მაინცა და მაინც არც ეშინოდა. "დემოკრატებს" საკმაოდ მქუხარე ტაშსაც უკრავდნენ და შიგადაშიგ ხუმრობდნენ კიდეც. **"ამ სოციალური კატასტროფიდან გამოსავალი არ არსებობს. აბა, ის რის ქვეყანაა, ყველას მიერ ასაღები პირადობის მოწმობა, ორი ლარის მაგივრად, 25 ლარი ღირს. მანქანის ტექდათვალიერება - 35 ლარი, აგერ ბორჯომი - 85 თეთრი. ღვინოზე ძვირია, კაცო, ისე, რომ "კოლა ვასილიჩი" "პახმელიაზე" ვერ გამოსულა,** "- ენამახვილობდა ახმეტელი ალექსი უშიკაშვილი. თელაველებისთვის კარგად ნაცნობი "კოლა ვასილიჩის" გაჭირვების ამბავი დარბაზისთვის ყველაზე საფუძვლიანი არგუმენტი აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, დარბაზის რეაქციიდან გამომდინარე, ასე ჩანდა. კახელებმა "დემოკრატების" ლიდერს 115 ლარის გამო ატეხილი ბატალიებიც გაუხსენეს და მარცხით დამთავრებული ხელფასების გაზრდის ამ მცდელობისთვის მადლობაც გადაუხადეს...

უკვე ტრადიციულად, თავის მხარდამჭერებს ჟვანია კახეთშიც საკუთარი "პარტიის წევრების გამოცდილებასა და სუფთა ხელებს" სთავაზობდა. **"უკვე კარგა ხანია ხელისუფლება ცდილობს, შთაუნერგოს ხალხს, რომ ქართველებს არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. უნერგავენ იმისათვის, რომ უიმედო, ხელებჩამოყრილი, ბედს შეგუებული საზოგადოება შექმნან. თქვენ არა მხოლოდ გპარავენ, დაგცინიან კიდეც. აი, ამდენი ათასი დოლარის ღირებულების ბრილიანტი ვიყიდე და ნეტავ რატომ არავინ არ მეუბნება ამის გამო ქათინაურსო, - ამბობს ზოგიერთი. მოკლედ, მოითხოვენ, რომ გახარებული მონები იყოთ. ეს, მართლაც, უკუღმართი ქვეყანაა. როგორ არა, შეიძლება იმის გახსენებაც, რომ წლების განმავლობაში ჩვენც ამ ხელისუფლების გვერდზე ვიდექით. ჩვენ ბევრი შეცდომა გვაქვს დაშვებული, მაგრამ ძირითადი პრინციპებისთვის არასოდეს გვიღალატია. პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადადგომის შემდეგ ჩემი მშობლების სახლში დავბრუნდი; არ მინდა, დანაყრებული ვიყო, როცა ჩემს თანაკლასელს ლუკმაპური ენატრება. თუ გავიმარჯვებთ, ყველა ერთად გავიმარჯვებთ. მომავალ კვირას თქვენ უკვე სერიოზული მოვლენების მომსწრენი გახდებით. ჩვენი ამოცანაა, ეს უკუღმართი ქვეყანა წაღმა მოვაქციოთ."**

წინასაარჩევნოდ რეგიონებში სვლას ჟვანია კვლავ განაგრძობს. დემოკრატების ლიდერი აღიარებს, რომ მის პარტიას რამდენიმე სუსტი წერტილი აქვს სხვადასხვა რეგიონში, მაგრამ, მათ შორის, კახეთს არ გულისხმობს.

სამშვიდობოების მანდატის ვადა 10 წლით არაფორმალურად გაგრძელდა

სანკტ-პეტერბურგში, დსთ-ის სამიტზე თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერებმა აფხაზეთში მოქმედი სამშვიდობო ძალების მანდატის 10 წლით გაგრძელების შესახებ არაფორმალური დოკუმენტი მიიღეს. ამის შესახებ დღეს პეტერბურგში ჟურნალისტებს უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ განუცხადა.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე პეტერბურგში პირისპირ შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს, შევარდნაძემ "რუსთავი-2"-ისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა, რომ "სამშვიდობოებისთვის მანდატის 5-6 თვით გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა". მისივე თქმით, თუ საქართველო აფხაზეთიდან სამშვიდობოების გაყვანის საკითხს დააყენებს, "ისინი 2 დღეში გავლენ".

ინტერ-პრესი

ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სასწავლებელს მსოფლიო ბანკი ეხმარება

თეა ხოფერია

შარშან მიწისძვრით დაზიანებული ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სკოლა დახურვას გადაურჩა. მსოფლიო ბანკის მიერ მიწისძვრით დაზიანებული შენობებისათვის გამოყოფილი 5 მილიონი აშშ დოლარი საბალეტო სასაწავლებლის ავარიული შენობის შეკეთებასაც მოხმარდება. რემონტი სექტემბერში დაიწყება და ნოემბერ-დეკემბრამდე გასტანს. საბალეტო სკოლის მოწაფეებსა და პედაგოგებს საკუთარი შენობის გარეშე მხოლოდ 4 თვე მოუწევთ ყოფნა, ხოლო ზამთრის დასაწყისისათვის ისინი შეძლებენ გარემონტებულ სკოლას დაუბრუნდნენ და გააგრძელონ იქ სწავლა.

გაგრძელება A7 გვერდზე

ციკლოპები ცესკო-ს კარებთან

გიორგი ასანიშვილი

მას შემდეგ, რაც სახელისუფლებო ფრაქციებმა, "ალორძინებასთან" ტანდემში, ცესკო-ს გაუქმების გადაწყვეტილება ჩააგდეს, ოპოზიცია მათთან არა თუ ერთობლივ მუშაობაზე, არამედ დიალოგზეც კი უარს აცხადებს: გუშინ პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართულ კონსულტაციებში მონაწილეთა რაოდენობა მხოლოდ პროსამთავრობო ძალების სამი წარმომადგენლით შემოიფარგლებოდა. ამიტომ, როგორც სავარაუდო იყო, ვიტალი ხაზარაძე, ირაკლი მინდელი და ელგუჯა მეძმარიაშვილი ბურჯანაძის კაბინეტიდან "ხელცარიელები" გამოვიდნენ, თუმცა, იხტიბარს მაინც არ იტეხდნენ.

"ცესკო-ს დაკომპლექტების წესის ახალ ვარიანტებზე ვმუშაობთ. ვფიქრობთ, რომ ორშაბათს ოპოზიცია მოვა რიგგარეშე სხდომაზე, მსჯელობას იქ გავმართავთ და არა ქუჩაში, როგორც ეს ოპოზიციის ნაწილს სურს", - ასეთი განცხადებით უფრო საკუთარ თავს ამხნევებს ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე ვიტალი ხაზარაძე.

სახელისუფლებო ფრაქციათა ლიდერები ცდილობენ, საქმე ისე წარმოაჩინონ, თითქოს, მათ კეთილ ნებას "ბოროტი" ოპოზიცია უგულებელყოფს და ეს უკანასკნელი დღენიადაგ მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რითი ავნოს ქვეყანას. ჰოდა, ცესკო-ში ასეთების "გაგულავება" როგორ შეიძლება! ისინი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მხოლოდ გარკვეული "ნორმის" ფარგლებში უნდა იყვნენ.

"დაუშვებელია, ცესკო-ში დიდი რაოდენობით მოხვდნენ ისეთი ძალები, რომლებსაც შემდგომში ამ სტრუქტურის ბლოკირება შეეძლებათ და ხელისუფლებას აღარ ექნება საშუალება, პასუხისმგებლობა აიღოს არჩევნების ჩატარებაზე", - აღნიშნავს ფრაქცია "თანადგომის" ლიდერი ელგუჯა მეძმარიაშვილი.

გაგრძელება A2 გვერდზე

"ნაციონალები" პარლამენტის წინ საპროტესტო აქციას გამართავენ

ბელა მახარაძე

საარჩევნო კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟის გაგრძელებას "ნაციონალური მოძრაობა" სამ ივნისს პარლამენტის შენობის წინ აპირებს. გუშინ დავითაშვილმა გამართა საგანგებო ბრიფინგი და განაცხადა, რომ ისინი ემზადებიან ფართო მასშტაბიანი აქციებისთვის, რომლის მთავარი მიზანი იქნება საზოგადოებამ თავად მიიღოს გადაწყვეტილება საარჩევნო კოდექსის დემოკრატიულად მიღებაში, **"ეს იქნება რეფერენდუმი, სადაც ხალხი გამოთქვამს საკუთარ აზრს საარჩევნო კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით,"**-აცხადებს კობა დავითაშვილი. "ნაციონალები" აპირებენ ჩასვლას ყველა სოფელში, რათა ხალხს გააცნონ არსებული მდგომარეობა და მისცენ მათ საშუალება გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. **"ჩვენ არ გვინდა ეს აქცია იყოს პარტიული, გვინდა ჩვეულებრივმა ხალხმა დააფიქსიროს თავისი აზრი, თუ ისინი გამოეხმაურებიან ჩვენს იდეას, მაშინ ხელისუფლებას არ დარჩება სხვა გამოსავალი, რადგან ეს იქნება საკმაოდ ფართო მასშტაბიანი აქცია და ისინი იძულებულნი გახდებიან მიიღონ დემოკრატიული საარჩევნო კოდექსი,"**-ამბობს იგი. სამ ივნისს პარალელური აქცია ზუგდიდშიც არის დაგეგმილი.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია | A2 ეკონომიკა | A3 უცხოეთი | A3 სამართალი | A4 საზოგადოება | A5 სპორტი | A6 განცხადებები | A7 რევიუ | A8 სხვადასხვა

"ნაციონალები" პარლამენტის წინ საპროტესტო აქციას გამართავენ

დავითაშვილი კატეგორიულია.

ბატონ გელაძეს ფოტოზე

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

სამი ივნისის აქცია იქნება საერთო ოპოზიციური აქცია და ყველა პარტიის წარმომადგენელსა თუ ლიდერს ექნება საშუალება საკუთარი აზრის გამოხატვისა. დავითაშვილის განცხადებით, აქცია იქნება მობილიზებული და იმედს გამოთქვამს, რომ არანაირ ექსცესებს ადგილი არ ექნება.

"ნაციონალური მოძრაობა" ერთი აქციით შემოფარგვლას არ აპირებს, მათ დაგეგმილი აქვთ აქცია 17 ივნისს. დავითაშვილის განცხადებით, აქცია საკმაოდ დიდი იქნება, ის დარწმუნებულია, რომ აქციების სერია, რომელიც გაგრძელდება პერმანენტულად, შედეგს გამოიღებს და დამთავრდება დემოკრატიული საარჩევნო კოდექსის მიღებით, "**ეს არ არის ჩვენი თვითმიზანი, ჩვენ გვინდა არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება, თუ მანამდე ხელისუფლება წამოვა კომპრომისზე, მაშინ 17 ივნისს დაგეგმილი აქცია აღარ ჩატარდება,-**"ამბობს დავითაშვილი, მაგრამ იქვე აღნიშნავს - ისინი მზად უნდა იყვნენ იმისთვისაც, რომ ხელისუფლება არ წავა ამ კომპრომისზე. ვაჭრობას "ნაციონალები" არ აპირებენ, მათი მოთხოვნაა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყველა პარტიის წარმომადგენლით დაკომპლექტება.

17 ივნისს დაგეგმილ აქციაზე პასუხისმგებლობას "ნაციონალური მოძრაობა" კისრულობს. ყველა მონაწილე, ვინც აქციაზე მოვა, "ნაციონალებისაგან" ინფორმირებულნი იქნებიან, თუ რა თემაზე ჩატარდება აქცია და რა იქნება მათი მთავარი მოთხოვნა, "**ჩვენ არ ვაპირებთ ქალაქებსა და რაიონებს მივაყენოთ ავტობუსები და ხალხი წამოვიყვანოთ, ჩვენი ამოცანაა, რიგითი ადამიანები მოვიდნენ აქციაზე, რომლებსაც ავუხსნით რა სახით აპირებს ხელისუფლება საარჩევნო კოდექსის მიღებას, ვინც წინააღმდეგი იქნება, ის ჩამოვა და მიიღებს მონაწილეობას აქციაში,**"- განმარტავს დავითაშვილი. ამ აქციას დავითაშვილი რეფერენდუმის ტოლფასად მიიჩნევს და ამბობს, რომ 17 ივნისს ხალხი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ხელისუფლების მიმართ.

მოკლედ

"დათვის" ლიდერი თემურ ხაჩიშვილი დაგეგმილ სახალხო მოძრაობას სკეპტიკურად უყურებს და აცხადებს, რომ მნიშვნელობა არა აქვს, ვის მიეცემა არჩევნების გაყალბების საშუალება - ყოფილ თუ ამჟამინდელ "მოქკავშირელებს". "**პირადად მე არც იმის პერსპექტივა მხიბლავს, რომ ამჟამინდელი ცსკ გადადგეს და არჩევნები ე.წ. სახალხო მოძრაობის ინიციატორებმა გააყალბონ და არც იმის, რომ მისი გაყალბების შესაძლებლობა ჯორბენაძეების, მოლოდინაშვილებისა და რჩეულიშვილების ხელში დარჩეს**" - განუცხადა "ინტერ-პრესს" ხაჩიშვილმა. მან აღნიშნა, რომ მოვლენების განვითარებას ძალზედ ყურადღებით ადევნებს თვალს, რადგანაც "ორივე შემთხვევაში არჩევნებში გამარჯვებას აპირებს".

■ ■ ■

სოხუმი. ქალაქ სოხუმის მერის ლეონიდ ლოლუას მტკიცებით, აფხაზეთის დედაქალაქში პრაქტიკულად ყველა ბინა დაკავებულია და საქართველოზე გამარჯვების 10 წლისთავის აღსანიშნავად აფხაზური ხელისუფლება სარემონტო სამუშაოებს დაჩქარებული ტემპით ანარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ორშაბათს "იმელის" შენობასთან საპროტესტო აქციას გამართავენ, თუ ხელისუფლება აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელი პირების გადაყენების გადაწყვეტილებას არ მიიღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. - საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე კვირას თურქეთში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს უმაღლესი რანგის ოფიცერთა საერთაშორისო კონფერენციაში. **ინტერ-პრესი**

ციკლოპები ცესკო-ს კარებთან

სამნი ერთ ნავში.

"სოციალისტის" თავმჯდომარე ირაკლი მინდელიც იმის მომხრეა, რომ ოპოზიცია ცესკო-ში "დასაშვებ ფარგლებში" იყო წარმოდგენილი. "**აქამდე ამაზე არ ვსაუბრობდით, ახლა კი მინდა, პარდაპირ განვაცხადო: ოპოზიციას არ უნდა ჰქონდეს საარჩევნო ადმინისტრაციაში ობსტრუქციული ქმედებების განხორციელებისა და შემდგომში არჩევნების ჩაშლის მცდელობის ხელისუფლებაზე გადაბრალების შესაძლებლობა**", - შენიშნავს ცესკო-ს კარებთან ციკლოპივით დადარაჯებული ირაკლი მინდელი, რომელიც, ალბათ, ყველა ღონეს იხმარს იმისთვის, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ბევრი ოპოზიციონერი არ "შეიპაროს".

რაც შეეხება პარლამენტის წინ 3 ივნისისთვის ოპოზიციის მიერ დაგეგმილ მშვიდობიან მანიფესტაციას, ნინო ბურჯანაძის გუშინდელი "სტუმრები" მას "არასახელმწიფოებრივ მიდგომად" ნათლავენ. თავის შეფასებებში ვიტალი ხაზარაძე კიდევ უფრო შორს მიდის და აცხადებს: "**ეს არის გარკვეული პოლიტიკური ძალების ამბიციურობის გამოხატულება, მათი ლიდერების მხრიდან კი საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების უგულვებელყოფა და ამდენად, კონსტიტუციის დარღვევა, - ქვეყნის ძირითადი კანონი კრძალავს ზეწოლით კანონების მიღებას**", - დასძენს ვიტალი ხაზარაძე.

დაახლოებით იგივეს აცხადებს ელგუჯა მეძმარიაშვილიც: "**სამშვიდობო მანიფესტაციის მოწყობა კანონის დარღვევა არ არის, მაგრამ მანიფესტაციით პარლამენტზე ზემოქმედება დანაშაულია**".

რუსთავის საკრებულო კორუფციასთან ბრძოლას იწყებს

მაია მოსიაშვილი

რუსთავის საკრებულოში დროებითი ანტიკორუფციული კომისია შეიქმნა. საკრებულომ დაამტკიცა კომისიის დებულება, რომლის მიხედვით კომისიის შემადგენლობა 9 წევრით განისაზღვრა - აქედან ოთხი საკრებულოს წევრი იქნება, ხოლო ხუთი იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთაგან მოიწვევა, რომელთაც აღნიშნულ სფეროში მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება აქვთ.

"ჩვენ საკრებულოს ყველა წევრს მივეცით უფლება წარმოადგინოს საკუთარი კანდიდატურები განუსაზღვრელი რაოდენობით. შემდეგ იქნება კენჭისყრა და აირჩევიან ისინი, რომლებსაც საკრებულოს უმრავლესობა მხარს დაუჭერს. მოთხოვნა ერთია, კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები უნდა იყვნენ, რომელთაც გარკვეული გამოცდილება აქვთ ანტიკორუფციული საქმიანობისა," - განუცხადა "24 საათს" რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარემ ლაშა მინდელმა.

ანტიკორუფციული კომისიის დებულების მიმართ შენიშვნები მხოლოდ "აღორძინების" წარმომადგენელს ალეკო აბაშიძეს ჰქონდა. "საკრებულომ ჩემი პრინციპული წინადადებები არ გაითვალისწინა - კომისიის უმრავლესობა საკრებულოს წევრებისაგან შექმნილიყო და უფრო დაკონკრეტებულიყო მოწვეულ წევრთა ვინაობა. არ არსებობს გარანტია, რომ ეს ჯგუფი კონკრეტული თანამდებობის პირების წინააღმდეგ არ იმუშავებს," - ამ მიზეზით აბაშიძემ კოლეგებს შესთავაზა, რომ კომისიის შექმნა არჩევნების შემდგომი პერიოდისათვის გადაეტანათ. ამ წინადადებას საკრებულოს წევრთა მწვავე რეაქცია მოჰყვა. საკრებულოს თავმჯდომარემ აბაშიძეს წამოაძახა, რომ ის იმ ფრაქციის წევრია, რომელიც მამალაძემ შექმნა. - "დამიმტკიცეთ," - უშედეგოდ ითხოვდა აბაშიძე, რომელმაც კომისიაში "ახალგაზრდა იურისტთა ორგანიზაციის" წარმომადგენლის შესაძლო შეყვანაც გააპროტესტა. "გაურკვეველია მათი დაფინანსების წყაროები, ამიტომ მათი საქმიანობა საეჭვოა," - განაცხადა მან. "თქვენთვის, ალბათ, მამალაძის 170 არასამთავრობო ორგანიზაცია უფრო სანდოა," - არ დაინდო კოლეგა საკრებულოს თავმჯდომარემ, რომელსაც მხარი სხვებმაც აუბეს. მამალაძის ხსენებამ სხდომა პოლიტიკური განცხადებების პოლიგონად აქცია და უმცირესობაში მოყოლილმა აბაშიძემ გაჩუმება არჩია.

"გაკვირვებული ვარ, რადგან სამი თვის წინ თავად აბაშიძემ, რომელიც იურიდიული კომისიის თავმჯდომარეა, მის კომისიაში წევრად შესვლა შემომთავაზა. სიმართლე გითხრათ, თავიდან საკრებულოს ანტიკორუფციული კომისიაში შესვლის წინააღმდეგი ვიყავი, რადგან ჩვენს ორგანიზაციას ისედაც აქვს საშუალება მსგავსი საქმიანობის განხორციელებისა. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც კომისიის მუშაობაში მონაწილეობაზე დავთანხმდი, არის ის, რომ ეს უმოკლესი გზაა კორუფციის გამომწვევი საკანონმდებლო ხარვეზები გაცილებით მოკლე დროში აღმოიფხვრას," - აცხადებს "ახალგაზრდა იურისტთა" რუსთავის ორგანიზაციის ხელმძღვანელი კახა ლათიბაშვილი. კიდევ რომელი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები შევლენ რუსთავის საკრებულოს ანტიკორუფციულ კომისიაში, უახლოეს სხდომაზე გაირკვევა.

"დიდი აბრეშუმის გზა" ოზურგეთს მოადგა

თამაზ ხარაიშვილი

ოზურგეთიდან

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი დიდი ხანია, ასცდა თავის ძირითად გზას, რადგან აქ დრამატული სპექტაკლების ნაცვლად ბოლო ხანს პოლიტიკური დადგმები ხორციელდება. 30 მაისს კიდევ ერთხელ შეივსო მაყურებელთა დარბაზი და სცენა. ვერ ვიტყვით, რომ აქ შეკრებილი დიდძალი საზოგადოება ვინმემ ძალდატანებით მიავლინა თეატრში, მაგრამ, რაც მართალი მართალია, სახელისუფლებო და საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს დელიკატურად სთხოვეს, არ დაჰკლებოდნენ იმ კარგ საქმეს, რასაც ოზურგეთში სახალხო მოძრაობა "დიდი აბრეშუმის გზის" დამფუძნებელი კრება ჰქვია.

სცენაზე, ე.ი. კრების პრეზიდიუმში მოძრაობის ლიდერს, საქართველოს N1 რკინიგზელ აკაკი ჩხაიძეს მხარს უმშვენებდნენ გურიის მხარის გუბერნატორი კარლო გუჯაბიძე, ოზურგეთისა და ლანჩხუთის გამგებლები (ჩოხატაურის გამგებელი ასეთ შეხვედრებს მაინცდამაინც არ სწყალობს), მათი მოადგილეები, მოადგილეების მოადგილეები და ა.შ.

თავიდან მიკროფონს მასპინძლები მიეახლნენ და ოქროს სიტყვები აღავლინეს სტუმრის, ე.ი. აკაკი ჩხაიძის სახოტბოდ.

თავად ბატონმა აკაკიმ ბრძანა, რომ გაჭირვებული გურულების დასახმარებლად ხშირად აქეზებს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო პოლიტიკურ საქმინობაზე მხოლოდ იმ მიზნით გადასულა, რომ ხელი შეუწყოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში წესიერი, საქმიანი, პრეზიდენტის კურსის ერთგული ხალხის მოსვლას.

ერთ-ერთმა რიგითმა მსმენელმა ისინა, ისმინა და ბოლოს ამოთქვა; აბრეშუმის გზის გაყვანამდე ჩვენს გაპარტახებულ გზებზე ასფალტი ხომ არ დაგვეგოო? პასუხი არავინ გასცა.

დამფუძნებელი კრება კი იმით დასრულდა, რომ სახალხო მოძრაობა "ახალი აბრეშუმის გზის" ოზურგეთის რაიონული და სამხარეო ორგანიზაციების თავმჯდომარედ აირჩიეს მინის მართვის გურიის სამხარეო სამმართველოს უფროსი დავით ჟღენტი, ხოლო დამწერე საზოგადოებას სახალხო მოძრაობაში გაწევრიანებისაკენ მოუწოდეს.

ეკონომიკა

რას აპირებს მთავრობა სინამდვილეში?

როგორც იქნა, საქართველოს მთავრობამ დაიწყო 2003 წლის ბიუჯეტში ცვლილებების საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმება. თუმცა, ჯერ კიდევ გაუგებარია, ეს ცვლილებები შეთანხმდება თუ არა პარლამენტთან, როგორც ამას კანონმდებლობა მოითხოვს.

ჩვენი ხელისუფლების ენაზე ეს აღარც სეკვესტრია და აღარც ბიუჯეტში ცვლილებები, ეს "ხარჯების შეზღუდვაა". ხარჯები, რომელთა "შეზღუდვასაც" აპირებს მთავრობა, წარმოდგენილია ცხრილში.

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

საქართველოს პარლამენტი	700.0
საქართველოს პარლამენტთან არსებული ბიბლიოთეკა	150.0
საქართველოს კონტროლის პალატა	50.0
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	50.0
საქართველოს უზენაესი სასამართლო	50.0
საქართველოს სასამართლოების დეპარტამენტი	100.0
საქართველოს იუსტიციის სახლი	70.0
საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულების აპარატები	51.0
საქართველოს განათლების სამინისტრო	730.0
საქართველოს ეროვნული სანივთსკიეთო სააგენტოს აპარატი	100.0
საქართველოს პრეზიდენტის წარმოების განვითარების სოციალური ფონდი	5,000.0
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	3,500.0
საქართველოს კულტურის სამინისტრო	500.0
საქართველოს დაცვილებულთა და განსახლების სამინისტრო	1,700.0
საქართველოს საგარეო სამინისტრო	300.0
საქართველოს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო	60.0
საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო	500.0
საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრო	2,100.0
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო	5,200.0
საქართველოს ტრანსპორტის და კომუნიკაციების სამინისტრო	2,300.0
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი	100.0
სახელმწიფო ვალდებულებების მოსახურება	35,500.0
ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში	2,000.0
ტრანსფერი სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში	6,600.0
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2,500.0
გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტი	70.0
საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი	50.0
საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტი	750.0
საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი	60.0
საქართველოს სტუდიო სახელმწიფო დეპარტამენტი	60.0
საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი	1,200.0
საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი	230.0
საქართველოს სახელმწიფო უწყებრივი დაცვის სამმართველო	1,000.0
სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	300.0
საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია	160.0
საქართველოს პროკურატურა	210.0
საქართველოს ტელევიზია და რადიო მაუწყებლობა	1,000.0
საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური	70.0
აჭარაში განხორციელებული ორგანიზაციები	10,000.0
სულ ხარჯები	85,071,000.00

სახელმწიფოს ორმაგი სტანდარტები საქართველოს მოქალაქეების მიმართ

ვის და რას ბეგრავენ საშემოსავლო თუ მოგების გადასახადით სამხრეთ კავკასიაში

კახა დამენია

მოგების გადასახადი

სამივე ქვეყნის (აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი) საგადასახადო კანონმდებლობა მოგების გადასახადის გადამხდელებს, ფაქტობრივად, იდენტურად განმარტავს - რეზიდენტი და არარეზიდენტი საწარმოები (იურიდიული პირები). თუმცა, სომხეთში საბიუჯეტო ორგანიზაციები და სომხეთის ეროვნული ბანკი არ წარმოადგენენ მოგების გადასახადის გადამხდელს.

აზერბაიჯანსა და საქართველოში ეროვნული ბანკი წარმოადგენს გადამხდელს, მაგრამ გათავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან. შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კანონმდებლობა, ამ მხრივ, პრაქტიკულად იდენტურია.

აზერბაიჯანსა და საქართველოში საბიუჯეტო ორგანიზაციები წარმოადგენენ გადასახადის გადამხდელს, მაგრამ გათავისუფლებული არიან არაეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის დაბეგვრისაგან.

მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი სამივე ქვეყანაში პრაქტიკულად იდენტურია:

1. რეზიდენტის მოგება განისაზღვრება, როგორც სხვაობა ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ხარჯებს შორის;

2. არარეზიდენტის მოგება, რომელიც ამ ქვეყნებში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, აგრეთვე განისაზღვრება, როგორც სხვაობა ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ხარჯებს შორის. თუმცა, შემოსავალიც და ხარჯიც დაკავშირებული უნდა იყოს მხოლოდ გადამხდელის მუდმივ დაწესებულებასთან;

3. არარეზიდენტის, რომელიც შემოსავალს იღებს ამ ქვეყნების წყაროდან და არ გააჩნია მუდმივი დაწესებულება, მოგება განისაზღვრება, როგორც ერთობლივი შემოსავალი ხარჯების გამოქვითვის გარეშე.

სამივე ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობით, მოგების გადასახადისათვის ერთობლივი შემოსავალი შედგება ნებისმიერი სახის სარგებლისაგან (შემოსავლისაგან), რომელიც ზრდის გადამხდელის წმინდა აქტივს (სხვაობა პირის აქტივსა და ვალდებულებას შორის).

საქართველოში და სომხეთში ერთობლივ შემოსავლად არ ითვლება პარტნიორთა (აქციონერთა) შენატანები საწესდებო კაპიტალში.

გარდა ამისა, სომხეთში ერთობლივ შემოსავალში არ შედის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული წმინდა აქტივის ზრდა, აგრეთვე - ძირითადი საშუალებების გადაფასებით მიღებული დადებითი სალდო. ბუნებრივია, აღნიშნული ტიპის ზარალიც არ გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლებიდან. ასეთ მიდგომას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე.

საქართველოში ერთობლივ შემოსავალში არ შედის სახაზინო ვალდებულებებზე სახელმწიფოს მიერ გადახდილი პროცენტები, თუმცა იგი იბეგრება გადახდის წყაროდან 10 პროცენტის ოდენობით.

საშემოსავლო გადასახადი

საშემოსავლო გადასახადი წარმოადგენს პირდაპირ გადასახადს, რომელსაც იხდის ფიზიკური პირი, რეზიდენტი ან არარეზიდენტი.

რეზიდენტისათვის ერთობლივ შემოსავლად ითვლება ნებისმიერი წყაროდან მიღებული შემოსავალი, ხოლო არარეზიდენტისათვის - მხოლოდ დაბეგვრის ქვეყანაში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი.

აზერბაიჯანში და საქართველში ფიზიკური პირების შემოსავალია:

ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი;

სხვა საქმიანობით მიღებული შემოსავალი.

ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლად ითვლება დამქირავებლისაგან დაქირავებულის მიერ მიღებული ნებისმიერი სარგებელი (შემოსავალი); მათ შორის, ხელფასი და მასთან გათანაბრებული გასაცემლები, ვალის პატიება, საქონელის უფასოდ ან ღირებულებაზე ნაკლები ფასით გაცემა, დაქირავებულის ხარჯების ანაზღაურება და სხვა.

მაგრამ ერთობლივ შემოსავალში არ შედის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ დადგენილი ნორმის ფარგლებში.

სხვა საქმიანობით მიღებული შემოსავლებია: ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლის გადამხდელები არიან ფიზიკური პირები - მეწარმეები. ამ უკანასკნელთათვის შემოსავლებისა და ხარჯების სისტემა მოგების გადასახადისათვის განსაზღვრული დებულებების იდენტურია.

სომხეთის საგადასახადო კანონმდებლობით, საშემოსავალო გადასახადის მიზნებისათვის ცალკე არის გამოყოფილი სამეწარმეო საქმიანობით მიღებული და სხვა სახის შემოსავლების დაბეგვრა. სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლების დაბეგვრა ხორციელდება მოგების გადასახადისათვის განსაზღვრული ნორმატივების შესაბამისად. კერძოდ, შემოსავლებისა და ხარჯების დადგენა ხდება მოგების გადასახადისათვის დადგენილი ნორმების ფარგლებში.

სხვა სახის შემოსავლებად ითვლება ფულადი თუ ნატურალური ფორმით მიღებული სარგებელი (შემოსავალი).

შემოსავლების "დახარისხება" მნიშვნელოვანი საკითხია. თუ ის გამართულად არ არის ჩამოყალიბებული, ხშირად იქმნება ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალება. მაგალითად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ არსებობს ხელფასის სახით და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები. თუმცა, ამ უკანასკნელში შედის პრაქტიკულად ყველა შემოსავალი (ნებისმიერი სარგებელი, რომელიც ზრდის გადამხდელის წმინდა აქტივს), მათ შორის - აზარტული თამაშებიდან მიღებული შემოსავალი. ამის მიუხედავად, მუხლის სათაურსა და მის დებულებას შორის არსებული რედაქციული შეუთანხმებლობა იძლევა ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას.

გარდა ამისა, არსებობს შემთხვევები (მაგ: სოციალური გადასახადი), როდესაც დაბეგვრას ექვემდებარება სამეწარმეო საქმიანობით და გარკვეული კატეგორიის არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობით (ადვოკატი, ნოტარიუსი და სხვა) მიღებული შემოსავალი, რაც გადამხდელისა და დაბეგვრის ობიექტის განსაზღვრისას რთული წინადადებების აუცილებლობას ქმნის.

"24 საათის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულ ნაყინის ტესტირება-დეგუსტაციის ცხრილში, სამწუხაროდ, გაიპარა შეცდომა. ტექნიკური მიზეზების გამო, კომპანია "ამალთეას" ნაყინის შემოწმების შედეგები ცხრილში არ იყო ასახული. გთავაზობთ ამავე ცხრილის შესწორებულ ვარიანტს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

ჯორჯ ბუშის ევროპული ტურნე დაიწყო

აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ოფიციალური ვიზიტით პოლონეთს ეწვია. ამ ქვეყნიდან, თეთრი სახლის მეთაურმა თავისი ევროპული ტურნე დაიწყო, რომელსაც ანალიტიკოსები და ექსპერტები საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამის მიზეზად კი, ერაყში საომარი კამპანიის შედეგად ევროპა – აშშ-ის შორის უთანხმოების წარმოშობას ასახელებენ. პოლონეთში ჯორჯ ბუში ტრანსატლანტიკური ურთიერთობების შესახებ მოხსენებით გამოვა, სადაც ამ კუთხით თავის შეხედულებებს ჩამოაყალიბებს. უნდა ითქვას, რომ პოლონეთი, როგორც აშშ-ის პრეზიდენტის ევროპული ტურნეს პირველი ქვეყანა შემთხვევით არ იყო შერჩეული. პოლონეთმა აშშ-ის სამხედრო კამპანიას ერაყის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა, რისთვისაც ვაშინგტონის მადლიერებაც დაიმსახურა.

პოლონეთიდან ჯორჯ ბუში რუსეთში გაემგზავრება, სადაც სანკტ-პეტერბურგის საიუბილეო დღეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას. რუსეთის მონახულების შემდეგ კი, აშშ-ის ლიდერი საფრანგეთში ჩავა, სადაც ქალაქ ევიანში მსოფლიოს "დიდი რვიანის" ქვეყნების ლიდერთა შეხვედრაა დაგეგმილი. ევიანში ჯორჯ ბუში პირისპირ შეხვედრებს გამართავს საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკთან და გერმანიის კანცლერ გერჰარდ შრიოდერთან. თეთრი სახლის მესვეურები მიიჩნევენ, რომ საფრანგეთთან და გერმანიასთან წარმოქმნილი უთანხმოება ერაყის საკითხზე, შესაძლებელია უკვე ისტორიის კუთვნილება გახდეს.

REUTERS

ჯორჯ ბუში მეუღლესთან ერთად კრაკოვის აეროპორტში

სამშაბათს, ევიანიდან, ჯორჯ ბუში ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გაემგზავრება, სადაც იორდანიაში ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირების სამიტია დაგეგმილი. ჯორჯ ბუში ისრაელის და პალესტინის პრემიერ-მინისტრებს არიელ შარონს და აბუ მაზენეს უნდა შეხვდეს. როგორც ვარაუდობენ, ეს შეხვედრა ჯორჯ ბუშის ტურნეს ყველაზე რთული ეტაპი იქნება. ამ სამიტისგან ნახევარსაუკონოვანი კონფლიქტის დარეგულირების რეალურად დაწყებას მოელიან.

ევროკავშირი რუსეთსა და ევროკავშირს შორის უვიზო რეჟიმის დაჩქარებას უჭერს მხარს

გუშინ სანკტ-პეტერბურბურგში გამართულ რუსეთ-ევროკავშირის სამიტზე ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა მხარი დაუჭირეს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის წინადადებას რუსეთსა და ევროკავშირს შორის უვიზო რეჟიმის დაწესების დაჩქარების თაობაზე.

როგორც პუტინმა სამიტზე განაცხადა, მხარეები შეთანხმდნენ, უვიზო მიმოსვლის შემოღება გრძელვადიან პერსპექტივად განიხილონ. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ "რუსეთის მხარე გაგებით ეკიდება ამის თაობაზე სამიტის მონაწილეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და მათ შეშფოთებას იზიარებს". მიუხედავად ამისა, "ამოცანა ნათლად და გასაგებადაა დასმული" - აღნიშნა პუტინმა.

ექსკურსია ერმიტაჟში

სამიტის გახსნისას, რუსეთის პრეზიდენტმა ფორუმის მონაწილეებს ნოემბერში რომში დაგეგმილი შემდეგი შეხვედრისათვის რუსეთსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის პრობლემის მოგვარების ეტაპობრივი გეგმის შემუშავება შესთავაზა.

ევროკომისიის თავმჯდომარემ რომანო პროდიმ აღიარა, რომ ეს რთული პრობლემა "აუცილებლად ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გადაწყდეს". პუტინის წინადადებას მხარი დაუჭირა გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს "სამომავლოდ მუშაობის მნიშვნელოვანი სფეროა, რომელშიც რაც შეიძლება, მალე უნდა მიაღწიონ პროგრესს".

თავის მხრივ საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა გამოთქვა აზრი, რომ ევროპასა და რუსეთს შორის უვიზო მიმოსვლა, ასევე უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა და რეგიონალური კრიზისების მოგვარება ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობის პრიორიტეტული მიმართულებაა, მაგრამ უწინარეს ყოვლისა, რუსეთმა და ევროკავშირმა კალინინგრადის ანკლავის პრობლემის კონკრეტული გადაწყვეტილება უნდა გამოძებნონ, რაც ხელს შეუწყობს საზღვრებს გარეშე კონტინენტის შექმნას".

სამიტზე გამოსვლისას, იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ აღნიშნა, რომ ნამდვილად ერთიანი ევროპისკენ მიმავალ გზაზე, რომლის პარტნიორი დიდი რუსეთი უნდა გახდეს, "ბევრი რამ უკვე გაკეთებულია" და "შორს არ არის ის დრო, როცა დიდი ევროპა ყველა პარტნიორს და ყველა სახელმწიფოს გააერთიანებს".

"ინტერ-პრესი"

ორთაჭალის ციხე შიგნიდან გატყდა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

იზოლატორის შენობას, რომელიც ერთი საუკუნისაა, კენჭი რომ ესროლო, მაშინაც ინგრევა," – "24 საათთან" საუბრისას განაცხადა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, გიგლა აგულაშვილმა.

პატიმართა გაქცევის ფაქტზე საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, გენერალურმა პროკურატურამ და შსს-მ ერთობლივი განცხადება გავრცელეს. სამივე უწყება საპყრობილის თანამშრომლებს გაქცეულებთან ალიანსში ადანაშაულებს.

ძალოვანი უწყებების პოზიციას ეთანხმებიან არასამთავრობო ორგანიზაციებიც. ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის – « ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის » - წარმომადგენელი, ნანა კაკაბაძე არ გამორიცხავს, რომ ბოლო დროს გახშირებულ პატიმართა გაქცევებს სასჯელაღსრულების სისტემის ყოფილი და ამჟამინდელი მაღალჩინოსნები ორგანიზატორობენ. **"იზოლატორიდან პატიმრების გაქცევა შემთხვევითი ფაქტი არ არის, რადგან სხვა საპატიმრო დაწესებულებებთან შედარებით, იზოლატორი ბევრად დახურული სისტემაა და შიდა თუ გარე ძალების ხელშეწყობის გარეშე გაქცევა ვერ მოხერხდებოდა,"** – ჩვენთან საუბრისას განაცხადა ნანა კაკაბაძემ.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის, კახა კობერიძის აზრით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან პატიმრების გაქცევა და სისტემაში უმართავი სიტუაცია მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ელექტრონული მართვის სისტემები, ელექტრონჩამკეტები და ვიდეოთვალთვალის სისტემები არ დამონტაჟდება. **"სასჯელაღსრულების დაწესებულებების შენობები და დამცავი საშუალებები მოძველებულია და ინგრევა, არასაკმარისი დაფინანსების გამო კი, მათი განახლება ვერ ხერხდება. გარდა ამისა, სიტუაციას ართულებს თანამშრომელთა დაბალი ხელფასები და კადრების არაკვალიფიციურობა. ეს ყოველივე თუ არ მოგვარდა, პატიმართა გაქცევები და უმართავი სიტუაცია კვლავ გაგრძელდება,"** – ამბობს კახა კობერიძე.

ერთი სიტყვით, ორთაჭალის ციხე გუშინ შიგნიდან გატყდა. სამართალდამცველებმა იზოლატორის რამდენიმე თანამშრომელი გუშინვე დააპატიმრეს. გუშინ, საღამოსვე იუსტიციის სამინისტროში ჩატარებულ სპეციალურ კოლეგიაზე იუსტიციის მინისტრის, როლანდ გილიგაშვილის გადაწყვეტილებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რამდენიმე თანამდებობის პირი სავარძელს დაემშვიდობა.

მსგავსი ხასიათის მასშტაბური გაქცევა უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მეორედ მოხდა. 1999 წლის 28 ოქტომბერს 11-მა პატიმარმა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან მოახერხა გაქცევა. ამ ფაქტს მაშინ მხოლოდ იუსტიციის მაშინდელი მინისტრის, ჯონი ხეცურიანის თანამდებობა შეეწირა.

გუშინ მომხდარი გაქცევის თაობაზე გავრცელდა რამდენიმე ვერსია. გაქცევების ორგანიზება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარის, გიგლა აგულაშვილის წინააღმდეგაა მიმართული, რადგანაც მან არ მიიღო "შავი სამყაროს" წინადადებები, - ასეთია ერთი ვერსია.

მეორე ვერსიის მიხედვით, ციხიდან კრიმინალური ავტორიტეტების გაქცევები წინასაარჩევნოდ ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით ხდება.

კიდევ ერთი ვერსიით, გაქცევებს შსს აწყობს, რათა დაკარგული ძალაუფლება დაიბრუნოს.

"ფაქტია, რომ სისტემის თანამშრომლებსა და კრიმინალებს შორის სერიოზული ალიანსი არსებობს. გავამკაცრეთ რეჟიმი და ეს ვიღაცებს არ მოეწონათ. ბოლო დროს ისეთი ფაქტები მოხდა, რომ ციხეში არსებული უმძიმესი სოციალური და ტექნიკური პრობლემები არაფერ შუაშია; ახლა გაცილებით გლობალური პრობლემა არსებობს," – ასეთია გიგლა აგულაშვილის პოზიცია.

ჰოლ ვოლფოვიცი: ჩრდილოეთ კორეის პრობლემა ყველას საზრუნავია

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პოლ ვოლფოვიცმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის მიერ შექმნილი პრობლემის მოგვარება მშვიდობიანი გზით შესაძლებელია. მან ეს განცხადება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის თავდაცვის მინისტრების კონფერენციაზე გააკეთა. მისი თქმით, საკითხის გადაწყვეტის გასაღები ყველა დაინტერესებული ქვეყნის მიერ საერთო პოზიციის გამომუშავებაშია.

ჰოლ ვოლფოვიცი

სამდღიანი კონფერენცია პარასკევს, სინგაპურში გაიხსნა. აშშ-ის დელეგაციას ვოლფოვიცი თავმჯდომარეობს. პოლ ვოლფოვიცის განცხადებით, უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების ქცევამ, რეგიონალურ და გლობალურ უსაფრთხოებას სერიოზული საფრთხე შეუქმნა. პენტაგონის შეფის მოადგილემ განსაკუთრებული ყურადღება ფხენიანის ბირთვულ პოტენციალზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ კორეა ისეთ დელიკატურ საკითხს, როგორიც ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის უსაფრთხოება და სტაბილურობაა არასერიოზულად ეკიდება. პოლ ვოლფოვიცმა გამოთქვა შეშფოთება, რომ ფხენიანის მიერ შექმნილი ბირთვული იარაღი ან ტექნოლოგიები, შესაძლოა, იმ შემთხვევითი ადამიანის ან ჯგუფის ხელში მოხვდეს, ვინც მეტ ფულს გადაიხდის. ამ ყველაფრის მიუხედავად, ვოლფოვიცი დარწმუნებულია და დიდი იმედი აქვს, რომ პრობლემა შესაძლებელია მშვიდობიანი მეთოდებით გადაიჭრას. ამასთანავე, მან ვაშინგტონსა და ფხენიანს შორის ორმხრივი მოლაპარაკებების ჩატარების იდეა უარყო. აშშ პრობლემის მრავალმხრივი გადაწყვეტის მომხრეა და თვლის, რომ ამ საკითხში ყველა დაინტერესებულმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს მონაწილეობა. თეთრი სახლის პოზიციით, რეგიონის ყველა ქვეყანამ ჩრდილოეთ კორეაზე აქტიური ზეწოლა უნდა მოახდინოს, რათა ფხენიანმა თავისი რეაქციული პოლიტიკა შეცვალოს.

კონფერენციაზე ჩრდილოეთ კორეის პრობლემის გარდა, მინისტრებმა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხიც განიხილეს. განსაკუთრებული ყურადრება დაუთმეს წყნარი ოკეანის რეგიონში მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაციას "ჯამაა ალ-ისლამიას," რომლის ორგანიზატორობითაც გასულ წელს ინდონეზიის კუნძულ ბალიზე მასშტაბური ტერაქტი განხორციელდა.

ისლამურმა ქვეყნებმა „თეირანის დეკლარაცია" მიიღეს

გუშინ თეირანში დასრულდა ისლამური სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა. კონფერენციას 57 ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრის დახურვის დღეს, მათ მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც სოლიდარობას უცხადებს პალესტინელ ხალხს "ისრაელის სახელმწიფო ტერორიზმის" წინააღმდეგ ბრძოლაში.

კონფერენციის მონაწილეებმა ასევე ერთობლივად განაცხადეს, რომ აუცილებელია ერაყში დემოკრატიული მმართველობის შექმნის დაჩქარება და კოალიციის ქვეყნების ჯარების ოკუპაციის შეწყვეტა ერაყის ტერიტორიაზე.

კონფერენციაზე აშკარად შეიმჩნეოდა ამ ბოლო დროს აშშ-ირანს შორის დაძაბული ურთიერთობები. შეხვედრაზე გამოსვლისას, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქამალ ხარაზიმ განაცხადა, რომ აშშ-ის ბრალდებები ირანის მისამართით, თითქოს თეირანი საერთაშორისო ტერორისტებს იფარავს, საფუძველს მოკლებულია. მან ვაშინგტონს შეახსენა, რომ ირანის ხელისუფლებამ "ალ-ქაიდას" ტერორისტები საკუთარ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მანამდე დააკავა, ვიდრე 12 მაისს საუდის არაბეთის დედაქალაქში ტერაქტები განხორციელდებოდა. მისი თქმით, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ირანში მყოფ ტერორისტებს საუდის არაბეთში მომხდარ ტრაგედიასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდათ.

დააკავეს რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი

შსს-ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა "ახალი მემარჯვენეების" გლდანი-ნაძალადევის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, დავით სიხარულიძე ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო მოხმარების მოტივით დააკავეს.

პოლიციელებსა და დავით სიხარულიძეს შორის ინციდენტი მას შემდეგ დასრულდა, რაც შსს-დან ნარკოლოგიურში გადაყვანილ სიხარულიძეს ნარკოლოგიური შემოწმება ჩაუტარდა.

თავად დავით სიხარულიძე აცხადებს, რომ პოლიციელებმა მას თავი გააცნეს შსს-ს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის თანამშრომლებად. დავით სიხარულიძე მისი დაკავების ფაქტს უკანონოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ სამართალდამცველებმა მას არც დაკავების ოქმი წარუდგინეს და არც სხვა სამართლებრივი პროცედურა ჩაუტარებიათ.

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერები თანაპარტიელის დაკავების ფაქტს პარტიასთან პოლიტიკურ ანგარიშსწორებად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ შსს-მ მათი პარტიის ერთ-ერთ ლიდერს პროვოკაცია მოუწყო. პარტიის ლიდერთა განცხადებით, პოლიციამ სიხარულიძე უმიზეზოდ დააკავა. ამ ფაქტს ისინი უკავშირებენ "ახალი მემარჯვენეების" რაიონული ორგანიზაციის შექრებას, რომელიც გუშინ გაიმართა.

ახლების ერთ-ერთი ლიდერის, ლევან გაჩეჩილაძის განცხადებით, პოლიციამ დათო სიხარულიძე მაშინ დააკავა, როდესაც იგი შეკრების ორგანიზებას ეწეოდა. **''პოლიციამ იგი დილით, 9 საათისთვის დააკავა. მას წაართვეს ტელეფონი და სიხარულიძე რამდენიმე საათის განმავლობაში გარე სამყაროს მოწყვეტილი იყო,''** – აცხადებს ლევან გაჩეჩილაძე. "ახალი მემარჯვენეების" განცხადებით, მომხდარ ფაქტს პარტია რეაგირების გარეშე არ დატოვებს.

შსს-ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ დაკავება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა - მათ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სიხარულიძე ნარკოტიკების მომხმარებელი იყო, ამიტომაც სამინისტროში წარდგენილი სიხარულიძე ნარკოლოგიურში გადააგზავნეს შესამოწმებლად. შსს-ს თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ დაკავების პროცედურა არ დარღვეულა. სიხარულიძისთვის გუშინ ჩატარებული ნარკოშემოწმების შედეგები უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

დავით სიხარულიძის დაკავების კანონიერებას პროკურატურა შეისწავლის.

სადაზღვევო კომპანიამ დავა წააგო

ᲑᲔᲭᲐ ᲡᲘᲡᲐᲣᲠᲘ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე დღეს მრავალი კომპანია ფუნქციონირებს, რომელთაგან ზოგიერთი, როგორც ჩანს, ნაკისრ ვალდებულებებს ჯეროვნად ვერ ასრულებს. სწორედ ამ მოტივით სადაზღვევო კომპანია "ჯანმა" ქუთაისის საოლქო სასამართლოში პროცესი წააგო. საქმე ეხებოდა ავტოავარიის შედეგად გარდაცვლილი პირებისთვის სადაზღვევო კომპანიისგან თანხის გამოყოფის საკითხს. არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ სადაზღვევო კომპანია კანონით ნაკისრ ვალდებულებებს გაურბის და მოქალაქეებს დაზღვევის თანხის ანაზღაურებაზე უარს უცხადებს.

საგამოძიებო მასალების მიხედვით, ირკვევა, რომ 2002 წლის 15 ივლისს, ქუთაისში დილის ექვს საათზე ასათიანის ქუჩის სავალ ნაწილზე ცოლ-ქმარ ნუგზარ კუჭაშვილსა და მარინე შუბითიძეს "მერსედესის" ფირმის მიკროავტობუსი დაეჯახა, როდესაც ისინი ბაზრისკენ ცხვრის ფარას მიერეკებოდნენ. მძღოლს, ალექსანდრე ქუთათელაძეს თავდაპირველად ეგონა, რომ ცხვრის ფარას დაეჯახა. სამწუხაროდ, ადამიანებიც და ფარაც ადგილზე დაიღუპნენ. ქუთათელაძემ დილით შეიტყო, რომ ავტოავარიის შედეგად ორი ადამიანი იყო გარდაცვლილი, რის შემდეგაც დანაშაულის აღიარებით პოლიციაში გამოცხადდა. აღნიშნული შემთხვევის გამო, მძღოლს 4 წლით პირობითი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გარდაცვლილების შვილებმა მოიკითხეს და აღმოჩნდა, რომ მიკროავტობუსი, რომლითაც მათი მშობლები დაიღუპნენ, დაზღვეული იყო კომპანია "ჯანში". "ჯანმა" კი სადაზღვევო თანხის გადახდაზე უარი განაცხადა.

"ავტო-მოტო-ტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონის" თანახმად, თუკი დაზღვეული ტრანსპორტის მფლობელი, სხვადასხვა მიზეზით, ზიანს მიაყენებს მესამე პირს, დაზარალებულს სადაზღვევო კომპანიამ თანხა უნდა აუნაზღაუროს. აღნიშნული ფაქტის დროს "ჯანში" დაზღვეული მიკროავტობუსის მიზეზით, ორი ადამიანი გარდაიცვალა. სასამართლოში საქმის აღძვრამდე შევეცადეთ, საკითხი კომპანიასთან მოგვეგვარებინა. სამწუხაროდ, მოლაპარაკებებმა უშედეგოდ ჩაიარა. ისინი სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე ხან თანახმა იყვნენ, ხან უარს აცხადებდნენ. "ჯანს" თითოეულ გარდაცვლილზე სადაზღვევო თანხა 3 ათას 750 ლარი უნდა გადაეხადა. მათი უარის გამო, მორალური ზიანის ანაზღაურებაც მოვითხოვეთ, გადაცილებულ დღეებზე საურავიც დავამატეთ და ზარალმა 500 ათას 800 ლარი შეადგინა,"- აცხადებს დაზარალებულის ადვოკატი მიშა ჯიქია.საწინააღმდეგოს ამტკიცებს სადაზღვეო კომპანია "ჯანის" ადვოკატი ნანა აფხაიძე. მას მიაჩნია, რომ რადგან მიკროავტობუსის ნამდვილი მესაკუთრე, გვარად ალავიძე, საჭესთან არ იჯდა (ქუთათელაძე ავტომობილს მინდობილობით მართავდა), ამის გამო, სადაზღვევო კომპანიამ ზარალი არ უნდა აანაზღაუროს. **"ამ შემთხვევაში ადამიანებს ზიანი მიაყენა ქუთათელაძემ და არა იმ პიროვნებამ, რომელიც "ჯანმა" დააზღვია. ქუთათელაძემ ავტოავარიით მოკლა ორი კაცი და ზარალი "ჯანმა" რატომ უნდა აანაზღაუროს?"** - კითხულობს აფხაიძე. აღნიშნული საქმე ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ, რეზო სულაძემ განიხილა და სადაზღვევო კომპანია "ჯანს" გადასახდელად 8 ათას 385 ლარი დააკისრა. **"სადაზღვევო კომპანია ვალდებული იყო, მოსარჩელეებისათვის აენაზღაურებინა სადაზღვევო თანხა, რაც თითოეულ გარდაცვლილზე 3 ათას 750 ლარს შეადგენს. ასევე, აღნიშნული თანხის დაუსაბუთებელი გაუცემლობისთვის კომპანიამ მოსარჩელეებს უნდა გადაუხადოს სადაზღვევო თანხის 0,1 პროცენტი. აქედან გამომდინარე, "ჯანს" მოსარჩელეებისათვის გადასახდელი აქვს 7 ათას 500 ლარის ოდენობის სადაზღვევო თანხა და 385 ლარის ოდენობის საურავი,"** - ნათქვამია სასამართლო გადაწყვეტილებაში.

არასამთავრობოები პროკურორისგან ბოდიშის მოხდას ითხოვენ

მაია მოსიაშვილი

"ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" რუსთავის ორგანიზაცია ქალაქის პროკურორის მოადგილეს ნუგზარ ტაბაღუას დაუპირისპირდა. ორგანიზაციის ხელმძღვანელის ლევან სახვაძის ინფორმაციით, ტაბაღუამ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მათი ორგანიზაციის წევრ ქალბატონს ლია ჯიოშვილს, რომელიც პროკურატურაში მივიდა კონკრეტულ საქმეთან დაკავშირებით და შეეცადა გაერკვია, იყო თუ არა საქმე აღძრული. "პროკურორმა ძალადობით გააძევა ქალი კაბინეტიდან," - ამბობს სახვაძე.

"გადი ქალო აქედანო და წამოხტა, მოვიდა, მომიჭირა მკლავში ხელი, კარებამდე ასე მიმათრია და ოთახიდან გამომაგდო. მკლავზე ნათითურები კიდევ მემჩნევა. იმ დროს იქ ტაბაღუას გარდა მისი ორი თანამშრომელიც იმყოფებოდა, თუმცა არა მგონია მე ისინი მოწმედ დამიდგნენ," - ამბობს დაზარალებული ჯიოშვილი.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ადვოკატის განცხადებით, ჯიოშვილზე, როგორც მოწმეზე, ადგილი ჰქონდა ზეწოლას და ის სამართლიანად ითხოვდა სამართალდამცველებისაგან საჭირო რეაგირებას.

"ჯიოშვილი მეზობლების ჩხუბთან დაკავშირებით პოლიციამ მოწმედ დაკითხა, რასაც შემდეგ ერთ-ერთი მხარისგან მუქარა მოჰყვა. მოწმედ დადგომის გამო, ჯიოშვილის ოჯახს დაემუქრნენ და ბინის კარი გაუტეხეს. მან პოლიცია მაშინვე გამოიძახა, რომელიც ადგილზე მივიდა, მაგრამ დაზარალებულთან კი არა, თავდამსხმელებთან შევიდა. ფაქტობრივად, ჯიოშვილის წინააღმდეგ განხორციელდა ძალადობის მუქარა, რაც ხულიგნობის შემადგენელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, სამართალდამცველებს შესაბამისი რეაგირება უნდა მოეხდინათ," - განმარტავს ადვოკატი.

მომხდარზე რეაგირების მოთხოვნით ჯიოშვილმა პოლიციასაც მიმართა და პროკურატურასაც, მაგრამ ამაოდ. თანამშრომლის ღირსების დასაცავად "ყოფილი პოლიტპატიმრების" რუსთავის ორგანიზაციის ხელმძღვანელი პროკურორ ტაბაღუას ესტუმრა. "ხალხს იტაცებენ, კლავენ და ეს საქმე რა გახდა, უფლება არ გაქვთ ჩემთან შემოსვლისა და ინფორმაციის მოთხოვნის, ადექი და დატოვე ჩემი კაბინეტი, - მითხრა ტაბაღუამ. პროკურორს ადამიანებთან ურთიერთობაში, პირველ რიგში, ეთიკური ნორმების დაცვა ევალება. ჩვენ რომ ახლა ვაპატიოთ, ხვალ უარესს გააკეთებენ. ამიტომ პროკურორ ტაბაღუას ვუყენებთ ულტიმატუმს: ქალბატონს საჯაროდ მოუხადოს ბოდიში, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა ღონისძიებებს მივმართავთ." - აცხადებს ლევან სახვაძე.

თავად ნუგზარ ტაბაღუა უარყოფს მისი მხრიდან ეთიკური ნორმების დარღვევის ფაქტს და არასამთავრობოების ბრალდებას ტყუილს უწოდებს.

ლტოლვილები პროკურატურაში შეიჭრნენ

ლტოლვილთა თავდასხმის ობიექტი ამჯერად დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურა გახდა. უფრო ზუსტად, ლტოლვილთა 30-კაციანმა ჯგუფმა დროებით საცხოვრებლად დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურის ახალგარემონტებული შენობა აირჩიეს და გუშინწინ გვიან, ღამით შენობის კარები შეამტვრიეს კიდეც და იქ გამაგრდნენ. გუშინ, დილით სამსახურში მისულ პროკურატურის თანამშრომლებს შენობის შესასვლელი ბარიკადებით გადაღობილი დაუხვდათ. ჯოხებითა და ქვებით შეიარაღებული ლტოლვილებსა და პროკურორ-პოლიციელებს შორის ინციდენტი შენობის მისადგომებთან გუშინ მთელი დღის მანძილზე მიმდინარეობდა.

"დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურა 40 წელია, რაც ამ შენობაშია მოთავსებული, სამუშაო ოთახებში ინახება ამ წლების მანძილზე გამოძიებული საქმეები და სხვა მნიშვნელოვანი მასალები, მთელი დღის მანძილზე ლტოლვილებთან წარმოებულ მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰყოლია," – აცხადებს დიდუბე-ჩუღურეთის პროკურორის მოადგილე დავით ბოჭორიშვილი. მისივე ინფორმაციით, დიდუბე-ჩუღურეთის პროკურორს ირაკლი წერეთელს ვეტერანთა საბჭოს წარმომადგენლებმა დაურეკეს და მიაწოდეს შეტყობინება, რომ პროკურატურის რამდენიმე ოთახი ორ სამხედრო პირზე 700 დოლარადაა გაყიდული. არსებობს ვარაუდი, რომ პროკურატურის შენობაში შეჭრა სწორედ სამხედრო მოსამსახურეების მიერაა ორგანიზებული.

დიდუბე-ჩუღურეთის შენობაში გამაგრებული ლტოლვილები სანკტ-პეტერბურგიდან დაბრუნებულ პრეზიდენტის ვერდიქტს ელოდებიან და დარწმუნებული არიან, რომ დავა პროკურატურის შენობისთვის მათ სასარგებლოდ გადაწყდება.

ნეტარების ცრემლით გავლილი გზა

ფეხით თბილისიდან მოსკოვამდე

ხონში მცხოვრებმა ცოლ-ქმარმა სერგო ბოგდანოვმა და ქეთევან მინაძემ თბილისიდან მოსკოვში ფეხით ჩააბრძანეს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, რომელიც სერგო ბოგდანოვმა ბზისგან გამოკვეთა. ხატი მოსკოვის მაცხოვრის სახელობის დიდებულ ტაძარს 10 მაისს შესწირეს. მომლოცველთა გზა ორთვენახევარი გაგრძელდა და მრავალი სასწაულით მოეფინა. მორწმუნე მეუღლეები რამდენიმე დღის წინ დაბრუნდნენ და რედაქციაშიც გვესტუმრნენ. გადმოგცემთ ქალბატონ ქეთევანის მოკლე მონათხრობს.

მშვიდობის მოყვარულნი.

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი.

ზაზა ფარეულიძის ფოტოები

აღთქმა

სერგო რომ მიხვდა, ღმერთმა ხატმწერობის ნიჭი მიბოძაო, მადლობის ნიშნად აღთქმა დადო, რომ შექმნიდა 12 ხატს და შესწირავდა ეკლესიას. მაცხოვრის ერთი ხელთუქმნელი ხატი იერუსალიმში წააბრძანეს შობის დღესასწაულზე. მეორე (რიგით მეათე) - მოსკოვის მაცხოვრის ტაძარს შესწირეს. დანარჩენი ხატები საქართველოს ტაძრებშია. ორი ხატი ჯერ კიდევ შესაქმნელია.

წასვლა

საერთოდ არც გვეგონა, თუ ასეთი დიდი პატივით გააცილებდნენ ხატს საქართველოდან. ვფიქრობდით, შევსულიყავით რომელიმე ტაძარში, სადაც მოძღვარი დაგვლოცავდა და ისე წავსულიყავით, მაგრამ სხვაგვარად მოხდა. შაბათს ხატი სიონში შევაგზავნეთ, კვირას წირვის შემდეგ კი პატრიარქმა მრევლს აუწყა ჩვენი განზრახვა და თხოვა ელოცათ ამ ხატზე. მერე წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში მივედით და მამა გიორგის კურთხევა ავიღეთ, შემდეგ ვიყავით სვეტიცხოველში და ასე დიდი ლოცვა-კურთხევით წავედით. გავიარეთ ანანური და ყველა ტაძარი, რომელიც გზაზე შეგვხვდა. საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო იყო ყაზბეგის კარის ეკლესია, სადაც ხატი დავასვენეთ.

ჭვრის უღელტეხილი

თებერვლის ცუდი ამინდების გამო, ყველა გვეუბნებოდა, რომ ჯვრის უღელტეხილს ვერ გადავივლიდით, მაგრამ მოხდა სასწაული. ჩვენი წასვლის წინ გამოიდარა, გზა გაიხსნა და უღელტეხილი უპრობლემოდ გადავიარეთ.

იქ დაგვხვდა მეუფე პეტრე, რომელსაც გვინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადოთ. არაჩვეულებრივად მიგვიღო, დაგვლოცა და დაგვარიგა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით რუსეთის ტერიტორიაზე.

რუსეთი

რუსეთში პირველი ტაძარი, სადაც ხატი დავასვენეთ ქალაქ ბესლანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია იყო.

თავიდან გვეგონა, რომ ეკლესიაში ხატის შეგზავნა საკმარისი იქნებოდა, მაგრამ მერე გამოიკვეთა, რომ საჭირო იყო წირვა-ლოცვებზე დასწრება და ამის შემდეგ ლოცვის გარეშე ხატი ტაძრიდან არ გამოგვიბრძანებია. ამგვარად ხატმა რუსეთის 40 ტაძარი მოილოცა. უნდა ითქვას, რომ რუსეთის პატრიარქთან ერთად ყველა ტაძარში მოიხსენიებდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსაც.

9 აპრილი

9 აპრილს შევხვდით ტულის ეპარქიის ეკლესიაში, რომელსაც ტრაგიკულად დაღუპულთა სულის მოსახსენებლად "დაღუპულთა პატივგების" ტაძარს უწოდებენ. 9 აპრილს დაღუპულთა პანაშვიდი იქაც გადაიხადეს და სხვა ტაძრებშიც გადარეკეს, რათა პანაშვიდი მათაც გადაეხადათ.

შეხვედრა

უნდა გენახათ, როგორ ხვდებოდა ხალხი ხატს - დიდი რწმენით, სიყვარულით, იმედით, მუხლმოდრეკით, ამბორით. ხალხი ემხობოდა ხატის წინაშე. ძალიან ძნელია ამის გადმოცემა. სრულიად გულწრფელად მისტირიან საქართველოს, მისტირიან აფხაზეთს, ისევე, როგორც ჩვენ. მე არც კი მეგონა, თუ ასეთი რამე ხდებოდა. ნეტარების ცრემლით გავიარეთ მთელი გზა, 2000 კილომეტრი. ყოველ ეპარქიაში შესვლისას ვხვდებოდით ეპისკოპოსს, რომელიც გვლოცავდა, სიტყვიერ და წერილობით ლოცვა-კურთხევას გვაძლევდა, გვასაჩუქრებდა და მომდევნო ეპარქიაში რეკავდა, რათა ჩვენი ამბავი გადაეცა. ჩვენ გვცნობდნენ, გვხვდებოდნენ, გვაცილებდნენ.

ელეცის ეკლესიაში

ელეცის ეკლესიაში, სადაც შვიდი მირონმდინარე ხატია, საოცარი რამ მოხდა – ჩვენმა ხატმაც მირონდენა დაიწყო.

იქვე ვნახეთ ერთი ძალიან აღელვებული გოგო, რომელიც ჩვენთან შეხვედრის გარეშე სახლში წასვლას არ აპირებდა. მან გვითხრა: " მე სოფელში ვცხოვრობ და ეკლესიაში არ დავდივარ, მაგრამ ამ დილით რაღაც დამემართა. ავდექი, მანქანა ვიქირავე, ჩამოვედი და ელეცის ეკლესიაში შევედი. იქ ვნახე ეს ხატი და მაშინვე ვიკითხე მისი ამბავი. მერე თქვენი ძებნაც დავიწყე. უნდა გითხრათ, რომ უახლოესი ორი წლის განმავლობაში თამარ მეფის საფლავს ვარძიაში იპოვით. ამის შესახებ ხილვა მქონდა.

ათი წელია ამ ტვირთს ვატარებ. საქართველოში ჩამოსვლა და თქვენს პატრიარქთან შეხვედრაც მინდოდა, რომ მეთქვა. ან ვეძებდი ქართველ მღვდელს, რომ დამებარებინა."

ეს თქვა თუ არა, მაშინვე დამშვიდდა. თან გვითხრა, საფლავი ამოშენებული იყოო, მაგრამ ბოლო მიწისძვრების შედეგად ჩაინგრაო.

მუდმივი სასწაულები

სასწაულები მთელი გზის განმავლობაში ხდებოდა. უფლის შემწეობას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდით. მაგალითად, სასწაულებრივად ვნახეთ რუსეთის ერთ-ერთი დიდი მოღვაწე მეუფე ნიკონი, რომლის ნახვა ძალიან გვინდოდა, მაგრამ დროის უქონლობის გამო ვერ ვახერხებდით. ერთმა მორწმუნემ გვირჩია, შემწეობა გვეთხოვა მეუფე ნიკონის სულიერი ძმისათვის, აწგარდაცვლილი მამა ვიტალისათვის. ასეც მოვიქეცით და მეუფე ნიკონის მისაღებში მივედით, სადაც მას უამრავი ხალხი ელოდებოდა. მე ვიჯექი მაგიდასთან, სადაც ტელეფონი იდგა და რომლითაც მდივანი სარგებლობდა. სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა მეუფე ნიკონი, მოვიდა მაგიდასთან და დაიწყო ტელეფონზე საუბარი. მღელვარებისაგან საბუთებს ხელი გავუშვი და მეუფემ ზედა ფურცელი წაიკითხა. მიხვდა ყველაფერს, მიგვიღო, ხატი ნახა და დაგვლოცა.

სანამ ხატს მოსკოვის მაცხოვრის ტაძარს შევწირავდით, ქართველთა წმინდა გიორგის ტაძარში დავასვენეთ. იქაურმა მრევლმა გვითხრა, რომ ხატის მობრძანების წინა დღეს მთლიანად განათებული ივერიის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატი. ალბათ, უხაროდაო, ამბობდნენ ეკლესიის მსახურები.

ასევე მთლიანად გაბრწყინებულა წმინდა სერგი რადონეჟელის ტაძრის გუმბათის ჯვარი. ჯვარი არც კი ჩანდაო, გვითხრეს ტაძარში მისვლისას.

ერთად ვილოცოთ

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ქართველმა მრევლმა დიდი პატივით გადაასვენა მოსკოვის მაცხოვრის ტაძარში. საზეიმო ლოცვის შემდეგ ტაძრის წინამძღვარმა მამა მიქაელმა ქართველებს შესთავაზა, თქვენი საეკლესიო დღესასწაულები ახალი ხატის წინაშე აღნიშნეთ, ხოლმეო. ამჟამად მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ტაძრის მარცხენა ფლიგელში, ანალოღიაზეა დავანებული.

მოკლე მონათხრობის შემდეგ, ქეთევან მინდაძემ დიდი მადლობა გადაუხადა ვანო ზოდელავას, ზურაბ უროტაძეს, კახა ჭაბაშვილსა და ყველა იმ ადამიანს, ვინც მათ ამ სამშვიდობო მისიის შესრულებაში დაეხმარა.

მომავალი გეგმა

სერგო ბოგდანოვი ორი ხატის შესრულებას აპირებს. ერთი სურს, 11 სექტემბრისათვის ამერიკაში გააგზავნოს, მეორე კი მოსკოვში უნდა გააკეთოს და თბილისში იმავე გზით ჩამოაბრძანოს, რათა წმინდა სამების ტაძარს შესწიროს. ოღონდ ეს ტაძრის მშენებლობის დამთავრებას უნდა დაამთხვიოს.

დღეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

დალი კუპრავა

გულახდილად რომ ვთქვათ, ხელისუფლების და, შესაბამისად, საზოგადოების ყურადღება ბავშვებზე წელიწადში ორჯერ კონცენტრირდება – პირველ სექტემბერს და, ასევე, პირველ ივნისსაც, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. დანარჩენი 363 თუ 364 დღე ხალხური "ყველაფერი ამათთვის არ გვინდა?" - პრინციპით ვარსებობთ; და თუ ბავშვები გაგვიმეტებენ და გვკითხავენ, - მაინც რა გინდათ ჩვენთვისო, აი, მაშინ მოგვიწევს ჩაფიქრება... მაინც რა გვინდა ბავშვებისთვის?

სახლობანა.

ვახო ბაქრაძის ფოტო

დღეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა და ჩვენც ვიცავთ ბავშვებს, რომლებსაც თავისი უფლებების კოდექსიც აქვთ, საერთაშორისო საბავშვო ორგანიზაციებიც შეუქმნეს და უამრავი სპეციალური პროგრამითაც ზრუნავენ მათზე.

საქართველოც, რა თქმა უნდა, ჩართულია ბავშვთა დაცვის გლობალურ პროცესში და მსოფლიო ორგანიზაციების ყველა ინსტრუქციას "საგულდაგულოდ" ასრულებს. ძნელი დასაჯერებელი კია, რომ ამდენი მცირეწლოვანი მათხოვარი და დამნაშავე, მშიერი, უწიგნო, უბინაო და უდედმამო ბავშვი "დაცული" იყოს, არადა გადმოცემით, სოფელს თუ ობოლი "გაუფუჭდებოდა," ამაზე დიდი სირცხვილი არაფერი იყო. ბავშვთა დამცველი ჩვენი საზოგადოება კი ამას ისე შეეჩვია, ეს ყველაფერი ისე ჩაეწერა სოციალურ ყოფაში, რომ მთელი ინფრასტრუქტურა შეიქმნა მათ "დასაცავად" - იხარჯება და იხარჯება საერთაშორისო თუ ეროვნული სახსრები და... იზრდება და იზრდება ქუჩის ბავშვების რიცხვი...

ქვეყანაში ისეთი ბავშვებიც არიან, რომლებსაც საკუთარი ოჯახები იცავენ. ასეთი ბავშვებიც, სანაცვლოდ, სიხარულს ჩუქნიან საზოგადოებას და თავიანთ შესაძლებლობებს

ავლენენ მათ სასიამოვნოდ: მღერიან, ცეკვავენ, წერენ, ხატავენ...

ელენე ახვლედიანის ბავშვთა ნახატების გალერეაში 27-ე საავტორო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა შედგა. დარბაზი მხიარულიც იყო, საინტერესოც და გასაოცარიც, რადგან ეს ყველაფერი სასკოლო გაკვეთილებზე შეიქმნა. "ჩვენ ყოველწლიურად ვაკეთებთ გამოფენას; ბავშვები საგანგებოდ არაფერს ამზადებენ: ნახატები, კერამიკა, გობელენი, თოჯინები – ყველაფერი ჩვეულებრივ გაკვეთილებზეა შექმნილი," - გვითხრა სკოლის დირექტორმა მანანა ცინცაძემ.

ბავშვების უშუალობა არა მარტო ნამუშევრებში, არამედ მათ დათვალიერების პროცესშიც ჩანდა :ყველა სიამოვნებით უყურებდა საკუთარ ქმნილებას და შემდეგ, მეგობრის მიწვევით, მის ნამუშევართან გადაინაცვლებდა: "წამო, ახლა ჩემი ნახე, რა,"-გაიგონებდით.

ნახატები ისე იყო ფერებით დახუნძლული, რომ ზედაპირულად მათი გადახედვა შეუძლებელი აღმოჩნდა - თითოეული სერიოზულ დაკვირვებას და სრულფასოვან კონცენტრირებას მოითხოვდა.

"ეს თოჯინა ჩემი გაკეთებულია, თავი თაბაშირის აქვს, ტანი ბამბით გავუტენე და სახე დავუხატე, მაგრამ ასეთი საყვარელი თუ გამოვიდოდა, არ მეგონა,"- ამბობს ბედნიერი გოგონა. ჩვენ კი არ გვეგონა, თუ გამოფენა იქნებოდა ასეთი საყვარელი. უბრალოდ, საკმარისი განათება რომ ყოფილიყო, ძალიან კარგი იქნებოდა. თუმცა, სინათლე ჩვენში მხოლოდ საგამოფენო დარბაზებს როდი აკლია.

მოტყუებული ბავშვები

გუშინ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო აქცია ჩაატარა არასამთავრობო ორგანიზაციამ - "საქართველოს მრავალშვილიან ოჯახთა საქველმოქმედო კავშირი - საქართველოს მომავლისათვის", რომელმაც თავისი წევრი ოჯახების 487 ბავშვი თბილისის ზოოპარკში წაიყვანა.

ლელა მარგიანი

წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ბავშვებს ძალიან უხაროდათ ზოოპარკში ყოფნა, მითუმეტეს, რომ მათ ატრაქციონებზეც უფასოდ უნდა "ეკატავათ" და ნაყინი და საჩუქრებიც უნდა მიეღოთ. ამიტომ ისინი მოთმინებით ელოდნენ აქციის ორგანიზატორის ჯილდა დეიდას გამოჩენას. ცოტა დაგვიანებით კავშირის თავმჯდომარე, მართლაც, გამოჩნდა, საკმაოდ აღელვებული და იმედგაცრუებული. მისგან შევიტყვეთ, რომ დაპირების მიუხედავად, ერთ-ერთი ცნობილი პარტიის წევრებს ატრაქციონზე გართობისთვის საჭირო თანხა - 1215 ლარი არ გადმოურიცხავთ (მანამდე 90-მდე ორგანიზაციისგან მიუღიათ უარი).

მრავალშვილიანი დედების თხოვნას მხოლოდ სამი ორგანიზაცია გამოეხმაურა. სწორედ მათი წყალობით დაათვალიერეს ბავშვებმა ზოოპარკი, მიირთვეს გემრიელი ნაყინი და საჩუქრად მიიღეს სპორტული ტანსაცმელი და სათამაშოები. ამისათვის კავშირის თავმჯდომარემ ჯილდა გიორგაძემ მადლობა გადაუხადა: ზოოპარკის დირექტორს დავით ნარსიას, სუპერმარკეტ "მარიამის" დირექტორს თემურ გოცირიძეს და "თოლიას" წარმომადგენელს ირაკლი კანკიას.

ნიუ-იორკ სიტის უნივერსიტეტის სტუდენტები - საქართველოს დელეგატები

სალომე მახარაძე
ნიუ-იორკი

ცოტა ხნის წინათ ნიუ-იორკში გაეროს შტაბბინაში გაეროს ახალგაზრდული კონფერენცია ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა. თითოეული უნივერსიტეტი რომელიმე ქვეყანას წარმოადგენდა ისე, რომ არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა ჯგუფის ეთნიკურ შემადგენლობას. თბილისელი სალომე მახარაძის დამსახურება იყო ის, რომ ნიუ-იორკ სიტის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფი საქართველოს წარმოადგენდა. ამის შესახებ გვიამბობს ნიუ-იორკიდან სალომე.

ნიუ იორკ სიტის უნივერსიტეტის საქართველოს დელეგაცია.

უკვე მეორე წელია, რაც ნიუ-იორკის ქალაქის უნივერსიტეტში ვსწავლობ. საქართველოს შესახებ აქ თითქმის არაფერი იცოდნენ. ინტერნეტში წავაწყდი ინფორმაციას Model United Nations Program-ის შესახებ, რომელიც ყოველ წელიწადს უნივერსიტეტების მონაწილეობით გაეროს ახალგაზრდულ კონფერენციას აწყობს. ადრე ჩემი უნივერსიტეტი ამ პროგრამაში არ მონაწილეობდა. პროგრამის დირექტორს წერილი მივწერე და კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი გამოვთქვი, ხოლო გრაფაში, სადაც ქვეყნის არჩევანი უნდა მიმეთითებინა, საქართველო ჩავწერე.

პროგრამის მიხედვით, კონფერენციაში მონაწილე თითოეული უნივერსიტეტის ოცკაციან დელეგაციას ერთი ქვეყანა უნდა წარმოედგინა("ეთამაშა"). სტუდენტ-დელეგატის ეთნიკური წარმომავლობას მნიშვნელობა არ ჰქონდა. პროგრამის დირექტორმა ნიუ-იორკის ქალაქის უნივერსიტეტი კონფერენციაზე დაპატიჟა, სტუდენტებს - ე.წ. დიპლომატ-დელეგატებს საქართველო უნდა წარმოედგინათ.

უნივერსიტეტის ოცკაციანი ჯგუფიდან ერთადერთი ქართველი ვიყავი და მათ, ძირითადად, მე ვაწვდიდი საქართველოზე ინფორმაციას. ძალიან დამეხმარა საქართველოს მისიის წარმომადგენლობა გაეროში. ბატონმა გია ვოლსკიმ მომამარაგა სათანადო ლიტერატურით, ამიხსნა საჭირო საკითხები. მან ნება დამრთო გაეროში შეკრებებს და კონფერენციებსაც დავსწრებოდი - გაეროს სტრუქტურას და მუშაობის სტილს გავცნობოდი. ერთ თვეში მოვემზადეთ. სტუდენტებმა დაწერეს თემები, რომლებშიც გამოხატული იყო საქართველოს პოზიცია სხვადასხვა საკითხის მიმართ - ადამიანთა უფლებების, განიარაღების და ა. შ.

ახალგაზრდული გაეროს კონფერენცია ოთხი დღე მიმდინარეობდა. მსოფლიოს 14 ქვეყნიდან წარმოდგენილი 3 000 სტუდენტი Hilton Hotel-ში ვმუშაობდით. ფრიად საინტერესო სპიკერები გვყავდა. ერთ-ერთ მათგანს გენერალურ ასამბლეაში მუშაობის 30 წლის სტაჟი ჰქონდა და სტუდენტებს ბევრი კურიოზიც გვიამბო, რისი მომსწრეც თავად იყო, მათ შორის, ხრუშჩოვის ფეხსაცმლის ამბავი.

კონფერენციის გახსნის შემდეგ კომიტეტებში მუშაობას შევუდექით. მე გენერალურ ასამბლეაში წარმოვადგენდი საქართველოს. ასამბლეის დღის წესრიგში სამი საკითხი იდგა – კორუფცია, ადამიანთა უფლებების დაცვა ტერორისტული აქტის შემთხვევაში და მთავრობის საქმიანობის კომპიუტერიზაცია - ე.წ. "e-government"-ის ჩამოყალიბება განვითარებად ქვეყნებში...

კონფერენციის ბოლო დღეს კი "ჰილტონიდან" გაეროს შენობაში გადავინაცვლეთ. გენერალური ასამბლეის წევრები ახლა უკვე ნამდვილი გაეროს დარბაზში ვიყავით და ჩემი დელეგაციის წევრებიც ამა თუ იმ რეზოლუციას საქართველოს კუთვნილი ადგილებიდან აძლევდნენ ხმას.

კონფერენციის შემდეგ საქართველოს შესახებ მთელმა ჩემმა უნივერსიტეტმა გაიგო. ამაზე უნივერსიტეტის მეგობრებთან ერთად ბრუკლინში, ქართულ რესტორანშიც ვისაუბრეთ.

ავთო ცქვიტინიძე ნიკოტინის წინააღმდეგ

31 მაისის დღეს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტმა, თბილისის მერიის კულტურის სამსახურთან და არასმთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეწყობით ჩაატარა ღონისძიებები: "თამბაქოსაგან თავისუფალი კინო და მოდა", "თამბაქოს მომხარების გავრცელება და მისი შედეგები".

თეა ხოფერია

როგორც ჯანმრთელობის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, საქართველოში მწეველთა რაოდენობის კატასტროფული ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა. მისივე თქმით, სტრესულ მდგომარეობაში მყოფი ხალხისათვის სიგარეტი ერთ-ერთი გამოსავალია. თუმცა, მიუხედავად ამ და სხვა მიზეზებისა, ჯანდაცვის სამინისტრო და სხვა ორგანიზაციები უფრო გაამძაფრებენ ბრძოლას ნიკოტინის წინააღმდეგ. ბრძოლის მეთოდები არა მონოტონური დარიგებები, არამედ განმანათლებლური სარეკლამო კლიპები, სკოლაში ასევე საგანმანათლებლო ხასიათის გაკვეთილების ჩატარება და ბოლოს, გარკვეულ საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში ნიკოტინის მოწევის აკრძალვა იქნება.

გუშინდელ ღონისძიებას, გარდა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისა, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. სხვათაშორის, სიგარეტის წინააღმდეგ პროპაგანდული სიტყვა ყველასათვის ცნობილმა დიზაინერმა ავთო ცქვიტინიძემაც წარმოთქვა. თურმე მას არასოდეს არ მოუწევია სიგარეტი და არც აპირებს.

"უკვე დავიღალე პროპაგანდის გაწევით, რომ სიგარეტი მავნეა ჯანმრთელობისათვის. მაინც არავინ მისმენს. მე თვითონ კი საკმაოდ მკაცრი ზომები შევიმუშავე ჩემივე ახლობლებისა თუ მეგობრების მიმართ. ჩემს სახლში თუ ოთახში ვერავინ ეწევა."- განუცხადა "24 საათს" ავთო ცქვიტინიძემ.

იმედიანი ანგარიში

პირველი გვერდიდან

ყველა ძეგლის, სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის პატრონობის პრეტენზია, რა თქმა უნდა, არავის გამოუთქვამს, თუმცა, დაბა ურეკში დაწყებულ პროექტზე საუბრისას (მისი მიზანი საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისათვის საჭირო კონდიციამდე მიყვანა გახლავთ), ორატორების ხმაში აშკარა თავმოწონება იგრძნობოდა. "ეს არის გზა, რომელიც საქართველოს 300-400-მილიონიან ბიუჯეტს მილიარდ, მილიარდ შვიდას მილიონამდე გაზრდის," – დარწმუნებულია ბადრი პატარკაციშვილი.

ამ და სხვა მიმართულებით საქმიანობას, ამიერიდან "იმედად" წოდებული ეს ორგანიზაცია, მომავალშიც აპირებს. მისი დამფუძნებლის, "ზედმეტად საპროგრამო" გამოსვლის მიხედვით, ფონდი ქვეყნის ძირითადი რეგიონების ეკონომიკური განვითარების გენერალური გეგმის შემუშავების დაჩქარების, ევროატლანტიკურ სივრცესთან და ნატოსთან საქართველოს ინტეგრაციის ხელშეწყობის, წვრილი და საშუალო ბიზნესის წახალისების, მსოფლიოში საქართველოს რეპრეზენტაციის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის, კატასტროფებთან მიმართებაში დაუყოვნებლივი რეაგირების კუთხით იმუშავებს.

ფეხბურთი

ბექჰემი ისევ იცვლის იმიჯს და "მანჩესტერიდან" მიდის

დევიდ ბექჰემი არასდროს უჩიოდა ყურადღების ნაკლებობას, მაგრამ ბოლო დროს, ლამის, მთელი ბრიტანეთის, და არა მარტო ბრიტანეთის, სასაუბრო თემაა ფეხბურთელის თავს - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით - გადამხდარი ამბები. თანამედროვე ბრიტანეთის სექს-სიმბოლომ ახალთ-ახალი ვარცხნილობის (ისეთი რეპერებს რომ აქვთ) დაყენებიდან ერთ კვირაში იმიჯის შეცვლა გადაწყვიტა. ნიუ-იორკის აეროპორტში საზოგადოებამ ახალი ბექჰემი იხილა – ძველებური, ჩვეულებრივი, მამაკაცური ვარცხნილობით.

ძნელი სათქმელია, რა იყო ბექჰემის გარეგნობაში მომხდარი კატაკლიზმების მიზეზი. ამბობენ, - ამაში ვიქტორიას ხელი ურევიაო. ისე კი, ადვილი შესაძლებელია, მიზეზი სულ სხვა რამ ყოფილიყო. ბექჰემის ამერიკაში ვიზიტი "MTV Movie Awards" ცერემონიაზე მიწვევამ განაპირობა, რომელიც ლოს-ანჯელესში გაიმართება. ამასთან, ვიქტორია ადამსის თქმით, მისმა ქმარმა მოლაპარაკება უნდა გამართოს ჯერჯერობით უცნობ პიროვნებასთან. ცნობილია ის, რომ მოლაპარაკების თემა ახალი ფილმის გადაღებაა, სადაც მთავარი როლი დევიდ ბექჰემმა უნდა შეასრულოს.

"ჯერჯერობით ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმეს თქმა უმართებულოა. ჯერ მოლაპარაკებაც კი არ დაწყებულა, თუმცა ფილმის გადაღებას წინ, ალბათ, არაფერი დაუდგება", - აღნიშნა ვიქტორიამ. თავად დევიდმა ამ საკითხზე საუბრისაგან თავი შეიკავა.

რომელ კლუბს უმზერს ბექჰემი

სანამ ფეხბურთელი ამერიკაში ატარებს დროს, მისი თანაგუნდელები ესპანეთის კურორტ ლა მანგაზე ემზადებიან სლოვაკეთის ნაკრებთან სათამაშოდ. არ გეგონოთ, სვენ გორან ერიქსონმა ბექჰემი ნაკრებში არ გამოიძახა, ფეხბურთელს მატჩის გამოტოვება ორი ყვითელი ბარათის გამო უწევს და ასე თავისუფლად იმიტომაც დასეირნობს ამერიკაში ოჯახთან ერთად.

მის საფეხბურთო კარიერას რაც შეეხება, "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი, სერ ალექს ფერგიუსონი აღარ აპირებს ჭირვეული ვარსკვლავის თავის გუნდში დატოვებას და მის გაშვებაზე თანხმობას აცხადებს. ოღონდ, იმ კლუბს, ვინც ბექემის წაყვანას მოისურვებს, 30 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდა მოუწევს. ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე ბექჰემის გადაბირებისთვის ბრძოლაში ევროპული ფეხბურთის ოთხი გრანდი - "მილანი", "ინტერი", "რეალი" და "ბარსელონა" ჩაებნენ. არ არის გამორიცხული, რომ ბექჰემი სწორედ "მილანში", კახა კალაძის გვერდიგვერდ აღმოჩნდეს, რადგან ამ კლუბის წარმომადგენლები ინგლისელის სპაის-ვარსკვლავი მეუღლის, ვიქტორია ბექჰემისთვისაც ამზადებენ კონტრაქტს.

ფეხბურთელის "მილანში" გადასვლა იწინასწარმეტყველა უდიდესმა იტალიურმა სპორტულმა გამოცემამ "Gazzetta dello Sport"-მა. გაზეთის ინფორმაციით, წინასწარი შეთანხმება მხარეებს შორის უკვე მიღწეულია.

რაც უნდა იყოს, არც მადრიდის "რეალის" უგულებელყოფა შეიძლება. მართალია, სამეფო კლუბის პრეზიდენტი, ფლორენტინო პერესი აცხადებს, რომ მის კლუბს ბექჰემი არ ესაჭიროება, სპეციალისტები დასკვნების გაკეთებისგან თავს იკავებენ. პერესს სჩვევია ასეთი განცხადებების გაკეთება დიდი ტრანსფერების განხორციელების წინ. ბექჰემის მადრიდში გადასვლასთან დაკავშირებით ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ესპანურმა "მარკამ" გუშინ გაავრცელა, უფრო სწორად დაადასტურა, ინფორმაცია ბექჰემის ცოლს, ვიქტორია ადამსსა და ტოპ-მოდელ ნაომი კემპბელს შორის საუბრის გამართვის თაობაზე. გაზეთის ინფორმაციით, ვიქტორიას უთქვამს, რომ ის მომავალი წლიდან მადრიდში იცხოვრებს და ამ ზაფხულს საცხოვრებელი ბინის შესარჩევად ესპანეთის დედაქალაქს ეწვევა. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ინფორმაცია ბრიტანულმა წყაროებმაც გაავრცელეს. "მარკას" არც მეორე ესპანური გამოშვება As ჩამორჩა, რომელმაც ბექჰემის აგენტის, ტონი სტეფენსის ნათქვამზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფეხბურთელი "რეალის" ხელმძღვანელობას ხელფასის 8 მილიონიდან 6 მილიონ გირვანქამდე შემცირებას დასთანხმდა.

პრინცი ალბერი "მონაკოს" სადარაჯოზე

მონეგასკების სიამაყემ, საფეხბურთო კლუბმა "მონაკომ", რომელსაც საფრანგეთის ჩემპიონობა შვიდჯერ აქვს მოპოვებული, შესაძლოა, ქვეყნის ჩემპიონატის მეორე ადგილიდან თვალის დახამხამებაში საფრანგეთის პირველობის მეორე ლიგაში ამოჰყოს თავი. უფრო სწორედ, "მონაკო" რანგით ოფიციალურად დაქვეითებულია, მაგრამ განაჩენით უკმაყოფილო კლუბის ხელმძღვანელობა სასამართლოში ჩივის. საქმე ვალებს ეხება, ვალს კი გადახდა უნდა - ჰოდა, გამოჩნდნენ მაშველებიც, რა თქმა უნდა, პრინცი ალბერის თავკაცობით.

სიახლე აღარაა, რომ საფრანგეთის პროფესიონალთა ლიგამ, ვალების გამო, "მონაკო" დისკვალიფიკაციით დასაჯა და უმაღლესიდან მეორე ლიგაში გაამწესა. დაქვეითებულების მხრიდან, ბუნებრივია, აპელაცია მოსალოდნელი იყო. ასეც მოხდა - "მონაკომ" საფრანგეთის პროფესიონალთა ლიგის გადაწყვეტილება უსამართლოდ მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ კლუბის ვალი 87 მილიონ ევროს შეადგენს. კლუბის განცხადებაში ნათქვამია, რომ იურისტებთან მოთათბირების შემდეგ სასამართლოში აპელაციასაც შეიტანდნენ.

გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ "მონაკოს" ადრეც ხშირად ევლინებოდა მხსნელად მონაკოს პრინცი ალბერი, თუმცა მასთან ერთად რიგ იტალიურ კომპანიებსაც მოისაზრებდნენ. ამჯერადაც პრინცმა ალბერმა განაცხადა: "მე და მამაჩემი ვითარებიდან გამოსავალს მოვძებნით. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ გუნდის გადასარჩენად."

ჩვენი კი შეგახსენებთ, რომ "მონაკომ" განვლილ სეზონში ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა და ქვეყნის თასსაც დაეპატრონა.

კრიზი

ტაისონი ცხოვრებას მისტირის

გიგა გურასაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ მაიკ ტაისონის საკრივო მომავალი ბურუსითაა მოცული, გიჟმაჟი მოკრივისადმი ინტერესი კვლავაც არ დამცხრალა. ერთხანს მიყუჩებულმა "რკინის მაიკმა" ახლახან ისეთი განაცხადი გააკეთა, რომ უმალ ყურადღების ცენტრში მოექცა - საქმე 1991 წლის ერთ, ვითომდა რომანტიულ, ავბედით საღამოს ეხება. იმ თავგადასავალმა ტაისონი ერთი გრძელფეხება არსების მახეში გააბა – მეტიც, ციხეშიც ამოაყოფინა თავი.

ტაისონი თავში ხელს იცემდა, მაგრამ ისედაც რეპუტაციაშელახულს ყურს არავინ ათხოვებდა - ოდესღაც ტიტულოვანი მოკრივისგან სახელი-ღა დარჩა.

"ეს რა მიქნა, - ბდღვინავდა ტაისონი, - ცხოვრება როგორ გამიმრუდა მაგ აფერისტმა. ნეტავ მართლა გამეუპატიურებინა (აქ უფრო "ხატოვნად" გამოთქვამს), ტყულად მაინც არ წავიდოდი ციხეში, მე მაგის დედაც"...

საქმე ისაა, რომ 1992 წელს სასა-

მაიკ ტაისონი ვაშინგტონზე ბრაზობს

მართლომ ტაისონს ექვსი წლით პატიმრობა მიუსაჯა დანაშაულისთვის, რომელიც ვინმე დეზირე ვაშინგტონის გაუპატიურებას უკავშირდება. ტაისონი ამაოდ ცდილობდა საკუთარი უდანაშაულობის მტკიცებას, ცოტა ხანში მას ექვსი წლით გისოსებს მიღმა ამოაყოფინეს თავი. ექვსი წელი საკმაო დროა , და რომ არ დაჩაჩანაკებულიყო, ცხელ გულზე ჰანტელებით ამუშავებდა კუნთებს. აბა, სპარინგპარტნიორობას რომელი ჭკუათმყოფელი გაუწევდა. ამასობაში გავიდა ერთი, ორი, სამი წელი და ტაისონი გამოუშვეს ციხიდან. "რკინის მაიკი" ვადამდე გაათავისუფლეს.... სანიმუშო ყოფაქცევისთვის. თუმცა, გათავისუფლების შემდეგ იმასაც ამბობდნენ, - ეს ის ტაისონი აღარ არისო. ფსიქიკაარეულმა მაიკმა ევანდერ ჰოლიფილდს ყურიც მოაჭამა და მალე ტიტულებიც დათმო. შიგადაშიგ ხან ვინ შემოელახებოდა და ხან ვინ. მერე ყელში ამოუვიდა ბოლო დროს მოძალებული უილბლობა და გუდას პირი მოხსნა.

ტელეარხ "Fox"-თან ინტერვიუში მაიკ ტაისონმა ის ავბედითი ინდიანაპოლისური საღამო გაიხსენა. როდესაც სკანდალიდან 10 წელიწადზე მეტია გასული, ინტერვიუში იგი კვლავაც საკუთარ უდანაშაულობას ამტკიცებდა და ამბობდა: "იმან ცხოვრება სრულ გაურკვევლობად მიქცია. ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ აღარ ვიცი, რა გავაკეთო. ახლა იმას ვნატრობ, ნეტავ მართლა მიმიძღოდეს ბრალი იმაში, რაშიც მადანაშაულებენ. ახლა მართლა მინდა, რომ გავუპატიურო".

ჩოგბურთი

როგორც ამბობენ, კურნიკოვა გათხოვდა

შესაძლოა, დღეს, როდესაც გაზეთის გვერდს გადაშლით, ანა კურნიკოვა და ენრიკე იგლესიასი უკვე დაქორწინებულებიც იყვნენ. მოგეხსენებათ, ორივე ყვითელი პრესის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და, შესაბამისად, მათზე ჭორებიც ხშირად ვრცელდება. ყოველ შემთხვევაში, ირწმუნებიან, რომ ამჯერად საქმე ქორწილამდეა მისული.

თუ ინგლისურ "The Sun"-ს ვენდობით, შეუღლების ცერემონიალისთვის გუშინ საღამოს, უფრო სწორედ, მზის ჩასვლის შემდეგ კასა დე კამპოს უნდა ემასპინძლა. ის, რომ ერთსაც და მეორესაც საკუთარი განზრახვა ბოლო მომენტამდე გასაიდუმლოებული ჰქონდათ, გაზეთი ანას სამამამთილოს, ხულიოს სიტყვებით ხსნის. ხულიოს თქმით, მითქმა-მოთქმამ, რომელიც ენრიკესა და რუსი ვარსკვლავის ურთიერთობების ირგვლივ იყო ატეხილი, ორივე მხარე აიძულა, კონსპირაციისთვის მიემართა. ისე კი, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ხულიო იგლესიასი საკუთარი შვილის გაბედნიერების ცერემონიალზე დასწრებას არ აპირებდა.

რაც შეეხება რომანს 21 წლის კურნიკოვასა და ცნობილი ესპანელი მომღერლს, ხულიო იგლესიასის ვაჟს, მამის ნაკვალევს გაყოლილ ენრიკეს შორის, მას შარშან, თებერვალში ჩაეყარა საფუძველი. ბუნებრივია, ეს მასმედიის დიდ ყურადღებას იმსახურებდა. უფრო მეტად კი მაშინ ალაპარაკდნენ, როდესაც ენრიკე მისივე სიმღერის ერთ-ერთი კლიპის სასიყვარულო სცენაში ანასთან ერთად იხილეს. მას შემდეგ ენრიკე და ანა ერთად არცთუ იშვიათად ჩნდებოდნენ. აქედან გამომდინარე, გაჩნდა ეჭვი, რომ მათი ურთიერთობა გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა.

ესპეც ბიჭი, ესპეც გოგო

აღსანიშნავია, რომ რუსი ჩოგბურთელისთვის აღნიშნული ქორწინება რიგით მეორე იქნება - არცთუ დიდი ხნის წინათ იგი რამდენიმე თვით თანამემამულე ჰოკეისტის, სერგეი ფიოდოროვის მეუღლე გახლდათ.

რაკი NHL-ის ყოფილი ვარსკვლავი ვახსენეთ, მასთან დაკავშირებით ერთ ინფორმაციასაც მოგაწვდით, მით უმეტეს, რომ იგი კურნიკოვას უკავშირდება. Detroit Free Press-ის ნომერში ახლახან გამოქვეყნდა ფიოდოროვთან ინტერვიუ, რომელშიც ჰოკეისტი აცხადებს, რომ მას ანას გარეშე ცხოვრება მოსწონს კიდეც.

ინფოთეკა

"პორტო" ცვლილებებს ახორციელებს

უეფას თასის ფინალში შოტლანდიური "სელტიკის" დაძლევის შემდეგ "პორტოს" ფეხბურთელთა იმიჯი ერთი ორად გაიზარდა. პორტუგალიური გუნდის ფეხბურთელებით უცებ დაინტერესდნენ წამყვანი ევროპული კლუბები. "პორტოდან" ყველაზე სწრაფად, ალბათ, 20 წლის ელდერ პოსტიგა წავა, რომლის გაყიდვაც უკვე გადაწყვეტილი აქვს გუნდის თავკაც ჟოზე მაურინიოს.

პოსტიგას შეძენის სურვილი უკვე გამოთქვეს იტალიურმა "პარმამ" და ინგლისურმა - "ნიუკასლმა" და "ჩელსიმ". მაურინიოს განზრახული აქვს, პოსტიგას ტრანსფერიდან შემოსული თანხით ვიგოს "სელტას" სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი, ბენი მაკკარტი შეიძინოს, რომელიც გასულ სეზონზე ესპანელებმა პორტუგალიას ათხოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ პოსტიგას თერთმეტ მატჩში თორმეტი გოლი აქვს გატანილი და ერთ-ერთ პერსპექტიულ პორტუგალიელ ფეხბურთელად ითვლება, "პორტოს" მაინც არ სურს მისი კლუბში დატოვება და დაუნანებლად უშვებს გუნდიდან.

ნისტელროი კლუივერტის ცდუნებას ცდილობს

"მანჩესტერ იუნაიტედმა" მეტად ორიგინალურ ხერხს მიაგნო "ბარსელონას" ჰოლანდიელი ფორვარდის, პატრიკ კლუივერტის გადასაბირებლად. ამ საქმეში ინგლისელებს ისეთი უცნაური აგენტი ეხმარებათ, როგორიც კლუივერტის თანამემამულე და თანაკარელი რუუდ ვან ნისტელროი გახლავთ. "მან იუს" ფორვარდს ისე ძალიან უნდა კლუივერტთან ერთად პრემიერლიგაში თამაში, რომ ძალ-ღონეს არ იშურებს მუქკანიანი მეგობრის საცდუნებლად - მომხიბვლელ ფერებში უხატავს "მანჩესტერს", ინგლისს, ინგლისელ ფანებს და დაუღალავად ცდილობს, კლუივერტს "ბარსაზე" ხელი ააღებინოს.

"რუუდმა პირველად შობის დღეებში დამირეკა და "მანჩესტერში" გადასვლაზე მელაპარაკა. ამის შემდეგ ხშირად მირეკავდა და ამ თემაზე მელაპარაკებოდა. მიმტკიცებდა, რომ მანჩესტერში საოცრად კარგი სიტუაციაა, რომ გულშემატკივრები ფეხბურთელებთან ბევრად უფრო ახლოს არიან, ვიდრე იტალიაში ან ესპანეთში, რომ ჩემი თამაშის მანერა შესანიშნავად შეესაბამება პრემიერლიგას. მოკლედ, ძალიან უნდა, რომ ინგლისში გადავიდე. "ბარსელონაში" თავს კარგად ვგრძნობ, იმის მიუხედავად, რომ ამ სეზონში არც თუ ისე კარგად ვითამაშეთ. ესპანეთიდან წასვლა არ მინდა, მაგრამ თუ ეს დაწოლა კლვაც გაგრძელდება..." - მანჩესტერელებს იმედს არ უწურავს კლუივერტი.

რა დროს მაკლარენია

სეზონში ზედიზედ მეოთხე გამარჯვების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი, მიხაელ შუმახერი "მაკლარენის" ახალ ბოლიდს "ფერარის" კონკურენტად ვერ აღიქვამს. ახალი ბოლიდის პირველი ტესტები "მაკლარენს" ჯერ კიდევ ბრაზილიის გრან-პრის შემდეგ უნდა დაეწყო, თუმცა მიზეზთა გამო, ბოლიდის ტესტირების საშუალება ალექს ვურცს მხოლოდ გასულ კვირას მიეცა. დევიდ კულჰარდისგან განსხვავებით, რომელიც ახალ ბოლიდზე დიდ იმედებს ამყარებს და აცხადებს, რომ ის გახდება გუნდის წარმატების გარანტი, შუმახერი "მაკლარენის" ახალმა ქმნილებამ ვერ მოხიბლა. "სიმართლე გითხრათ, "მაკლარენის" ახალი ბოლიდით მოხიბლული ნამდვილად არ ვარ. ჩვენ გვაქვს შედეგი, რომელიც ნებისმიერ კონკურენციას გაუძლებს. და საერთოდ, რა დროს "მაკლარენია", როცა ქვეყანას შეუძლია ასეთი "ფერარით" დატკბეს. შესაძლოა, რბოლები უფრო დაძაბული და მაყურებლისთვის საინტერესო გახდეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენ ვერავინ ვერაფერს დაგვაკლებს", - მონაკოს გრან-პრის კვალიფიკაციის წინ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა შუმახერმა.

"შუმახერს შეუძლია ის ილაპარაკოს, რაც სურს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ის მართალია. ყველაფერს მომავალი რბოლები გვიჩვენებს. ჩვენი ახალი ბოლიდ MP4/18 საქმეში მომავალი თვიდან ჩაებმება და მის შესაძლებლობებზე საუბარიც იმ დროიდან იქნება შესაძლებელი. ამჟამად კი მიხაელის ნათქვამი საფუძველს მოკლებულია. მას ნორმალურად არც კი უნახავს ბოლიდი და ამიტომაც გაუგებარია, როგორ აფასებს მას", - პასუხი გასცა შუმახერს "მაკლარენის" წარმომადგენელმა.

კვალიფიკაციას რაც შეეხება, ის მიხაელის ძმამ, რალფმა მოიგო. მეორე იყო "მაკლარენის" ფინელი პილოტი კიმი რაიკონენი, მესამე - ხუან პაბლო მონტოია. თავად მსოფლიოს ჩემპიონი მეხუთე პოზიციიდან დაიწყებს დღევანდელ რბოლას.

ფეხბურთი. ჰოლანდიის "ეინდჰოვენის" თავდამსხმელის, მატეა კეჟმანის ყიდვის სურვილი ერთდროულად რამდენიმე იტალიურმა კლუბმა გამოთქვა. მათ შორის, განსაკუთრებით აქტიურობენ ჩემპიონთა ლიგის ფინალისტები - "მილანი" და "იუვენტუსი". ფეხბურთელით ესპანური კლუბებიც დაინტერესებულნი არიან, თუმცა მათი ვინაობა ჯერჯერობით არ ცხადდება.

ფეხბურთი. გერმანელმა მწვრთნელმა, კლაუს ტოპმიოლერმა წინასწარ შეთანხმებას მიაღწია ესპანეთის "ბარსელონას" პრეზიდენტობის კანდიდატ ხორდი მედინასთან. თუკი მედინა კატალონიური კლუბის პრეზიდენტი გახდება, ტოპმიოლერი გუნდის მწვრთნელად დაინიშნება. ამას თავად მედინაც ადასტურებს, რომლის თქმითაც, ტოპმიოლერი ის კაცია, რომელსაც შეუძლია "ბარსელონას" ძველი დიდება დაუბრუნოს.

ფეხბურთი. გასულ კვირაში "მეთოფეთა" ფრანგი დამრიგებელი, არსენ ვენგერი პარიზში შეხვდა მადრიდის "რეალის" პრეზიდენტს, ფლორენტინო პერესს და სპორტულ დირექტორს, ხორხე ვალდანოს. შეხვედრის დროს ვენგერს "სამეფო კლუბის" სათავეში ჩადგომა შესთავაზეს. თავის მხრივ, ვენგერის აგენტმა პრესაში განაცხადა, რომ მისი კლიენტი "არსენალის" ერთგულია და დიდი სურვილი აქვს, ლონდონურ კლუბთან ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგოს. თუმცა კი, "არსენალში" არსებული ფინანსური სიტუაცია გუნდის გაძლიერების საშუალებას არ იძლევა, რის გამოც, ვენგერი, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზეც სურს წარმატებების მიღწევა, შესაძლოა, მადრიდელთა წინადადებას დასთანხმდეს. ფრანგის აგენტის თქმით, მისი კლიენტი საბოლოო გადაწყვეტილებას 2-3 კვირაში მიიღებს.

ფეხბურთი. შვედეთის ფეხბურთის ფედერაციამ საკუთარი ასწლიანი იუბილეს აღნიშვნა ინგლისის ნაკრებთან ამხანაგური მატჩით გადაწყვიტა. ეს თამაში 2004 წლის 31 მარტს გაიმართება. თუმცა, შვედეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის, სუნე ჰელსტრემპოს განცხადებით, თუ ორივე ეს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლებას მოიპოვებს და წილისყრის შედეგად ერთ ქვეჯგუფში აღმოჩნდება, მაშინ თამაში კონტინენტის პირველობის შემდეგ გაიმართება. "ამ შემთხვევაში საუბარია საკითხის წმინდა სპორტულად გადაწყვეტაზე: არც ერთი გუნდის მწვრთნელს არ სურს მნიშვნელოვანი ტურნირის წინ ურთიერთშეხვედრა", - განაცხადა მან.

ჰოკეი. ლეგენდარული ჰოკეისტი, გორდი ჰოუ, რომლის სურათი და მაისურა NHL-ის დიდების დარბაზს ამშვენებს, გუშინ ღამით დეტროიტის ერთ-ერთ საავადმყოფოში მიიყვანეს. მან მოულოდნელად გონება დაკარგა, არითმიული გულისცემა და მაღალი არტერიული წნევა აღენიშნებოდა. ეს ინფორმაცია გაავრცელა "დეტოიტ რედ ვინგზის" წარმომადგენელმა და ისიც აღნიშნა, რომ 75 წლის ჰოკეისტის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ჰოუს საავადმყოფოში სრულ სამედიცინო გამოკვლევას ჩაუტარებენ, ხოლო პირველადი დიაგნოზი მხოლოდ ერთი დღის შემდეგ გახდება ცნობილი.

კალათბურთი. "ვაშინგტონ ვიზარდსის" ხელმძღვანელობა მწვრთნელთან, დაკ კოლინზთან კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებს. ამ კლუბში კოლინზმა ორი სეზონის განმავლობაში იმუშავა და 45-პროცენტიანი შედეგით (74 გამარჯვება, 90 მარცხი) დაასრულა მოღვაწეობა. ამასთან, "ვიზარდზმა" ვერც ერთხელ ვერ შეძლო NBA-ს პლეიოფურ სერიაში შეღწევა.

კოლინზმა მადლობა გადაუხადა კლუბის ხელმძღვანელობას, მის პრეზიდენტს, მაიკლ ჯორდანს და განაცხადა, რომ, სამუშაო ხელშეკრულების გაუგრძელებლობის გამო, ნაწყენი არ არის.

ფორმულა 1. ფორმულა 1-ის ხელმძღვანელის, ბარი ეკლსტოუნის განცხადებით, ახალი სეზონიდან "გრან პრის" საკვალიფიკაციო რბოლები ძველ ფორმატს (12 წრე, 30 წუთი) დაუბრუნდება.

ფორმულა 1. იაპონური კომპანია "Toyota" თავისი ძრავების გაყიდვას ფორმულა 1-ის გუნდებისთვის მხოლოდ 2005 წლიდან შეძლებს. კომპანიის ძრავებზე არა ერთი გუნდის მხრიდან იყო მოთხოვნა, მაგრამ კომპანიის წარმომადგენლის, ოვე ანდერსონის განცხადებით, მომავალ წელს ძრავების გაყიდვა შეუძლებელია. ასე რომ, გუნდებს ცდა მოუწევთ. ასევე, ცდა მოუწევთ "რენოს" ძრავების შეძენის მსურველთაც. "Toyota"-ს მსგავსად, ფრანგული კომპანია ძრავების გაყიდვას 2005 წლიდან ვარაუდობს.

ოლიმპიზმი. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა, მეჰმეტ საჰინმა გუშინ ოფიციალურად განაცხადა, რომ სტამბული 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობს კანდიდატად იქნება დასახელებული. თუკი ასე მოხდა, სტამბული მეშვიდე ქალაქი იქნება, რომელიც ოლიმპიადის მასპინძლობის სურვილს გამოთქვამს.

ფიგურული ციგურაობა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა, ალექსეი იაგუდინმა გუშინწინ მტკივან ფეხზე ოპერაცია გაიკეთა. ექიმების თქმით, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და მოციგურავე ყინულზე სრიალს, დაახლოებით, ექვს კვირაში შეძლებს.

TV-სპორტი

შაბათი. 1 ივნისი

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 რუსეთის ჩემპიონატი. "შინიკი" - "ტორპედო"
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი
16:55 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 1996-97 წლების სეზონი
18:40 საფეხბურთო-იუმორისტული გადაცემა "დარტყმა გოლისთვის"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 ხვალინდელი დღის პროგრამა
19:20 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 1996-97 წლების სეზონი
20:55 ჰოლანდიის თასი. ფინალი. "უტრეხტი" - "ფეიენოორდი". პირდაპირი რეპორტაჟი
22:55 რუსეთის ჩემპინატის მიმოხილვა
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი რეპორტაჟი
01:50 თავისუფალი დარტყმა

НТВ + СПОРТ
11:00, 13:45 პრეს-ცენტრი
11:15, 23:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი
14:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი რეპორტაჟი
23:05 ხვალინდელი დღის პროგრამა
23:10 საჭადრაკო მიმოხილვა
23:40 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი
02:10 ტაილანდური კრივი
05:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. პირდაპირი რეპორტაჟი

EOROSPORT
11:30 ფეხბურთი. საფრანგეთის თასი
12:00 ფორმულა 3000
14:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
18:30 ველოსპორტი. ჯირო დ`იტალია
20:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
23:30 ავტორბოლები
0:30 ავტორბოლა NASCAR
01:30 ახალი ამბები
01:45 სუპერბაიკი
02:15 სუპერსპორტი
03:15 მოტოკროსი
04:15 ახალი ამბები

„ხალხის პირისპირ" – ეს არის გელეხიძგორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეაღგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სბუღიაში მონეულ კონვერსანებს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსერასლით

შეკითხვის ტექსტი: პასუხის ტექსტი:

1
2
3
4
5

საკელი და გვარი
ბინის მისამართი
საშინაურის ტელეფონის ნომერი
ბინის ტელეფონის ნომერი
მობილური ტელეფონის ნომერი

წესები კითხვების შერჩევისათვის:

კითხვა გადაეცემოდეს "ხალხის პირისპირ" მიღება მხოლოდ ზემოთ მოცემული ბლანკით. შევსებული ბლანკი გამოგზავნეთ ფოსტით ისე, რომ "ხალხის პირისპირ", ტელეფონი 43 38077 ამოგვწეროდეს. ან მოიტანეთ ასეთ მისამართზე და ხელით პირდაპირ სარედაქციო მოცემულებულ სპეციალურ ყუთში.

სამეურნეო კომპანია "ზესთაფი 2" უფლებას იტოვებს გადაეცემის ინტერესისთვის გამომცემლობა ტელეფონის შეკითხვის ან არ გამოყენების თქვენ შეკითხვა "ზესთაფი 2" არ არის ვალდებული, ვიტყვით - გამოყენებით თუ არა თქვენს მიერ მოწოდებულ შეკითხვის.

ბლანკის შევსების უფლება აქვს ყველა სრულწლოვანს.

ამ ბლანკში შეიძლებათ ბეჭდით მოცდა ხელი შეკითხვა. შეიძლებათ შეიტანოთ და გამოგვგზავნეთ კითხვები ნებისმიერი რაოდენობით.

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შვილების ასაკი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:

კომპიუტერის მემსწავლეგი კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- ალრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტ,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების ქვითარი

მიიღება მხოლოდ კრძალ მორების განცხადებები

ბინები, ავტომობილები, ცხოველები, ვასტა-ველი, მომსახურება, სამუშაო, მანერალობა

1.06.03 N-148

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9^{00}-დან 20^{00}-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

ბინები

იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მინის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კომფორტული სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25

იყიდება!
სასწრაფოდ, ორთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარაიძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარაიძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"-ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.

იყიდება კერძო სახლი ეზოთი საბურთალოზე. 37-68-81 (22-23 სთ-მდე).

ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.
ტელ: 99-74-83, 99-93-62. 19.00 სთ-ის შემდეგ.

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

ქირა, გირაო

ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.

ვიქირავებ ფართს სასუვენირო მაღაზიისთვის, ქალაქის ცენტრალურ უბანში.
ტელ: 95-21-46 დღისით 79-44-03 საღამოს ირაკლი.

მანქანები

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

სწავლება

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.

სხვადასხვა

რეალურ ფასებში!!! დაგიმონტაჟებთ რკინის კარებებს, გისოსებს, ჟალუზებს და სხვა ლითონნაკეთობებს. ტელ: 95-38-11.

ვარემონტებთ და შევისყიდით გერმანული წარმოების ავტომობილებს. ავტოცენტრი "არბატი", სანდრო ეულის 7, ნუცუბიძის ბოლოში, ბანკთან. 8(99) 54 23 18, 8(99) 50 27 30

ვამზადებთ წვეულებებისთვის მრავალფეროვან კერძებს (როგორც ქართულს, ასევე, ევროპიკურს). შეკვეთისათვის დაგვიკავშირდით ორი დღით ადრე.
მის: ა. ყაზბეგის N55ა (კაფე "ჩარგალის" პირდაპირ) – კაფე "ცეზო".
ტელ: 39-46-30, 899 978757 მაკა ან ცეზო.

აფიშა

საკონცერტო დარბაზები

- **ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
"პატარა ვირტუოზები"
დას: 13:00 სთ
- **კლუბი „16 რაუნდი„**
"სუხიშვილების" ფოლკლორტეკა "ასსა-ფართი"
დას: 23:00 სთ
- **„აჭარა მიუზიკ ჰოლში„**
გაიმართება უფასო კონცერტი წარჩინებული და იძულებით გადაადგილებული ბავშვებისთვის ქართული ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით
დას: 15:00 სთ

თეატრები

- **ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ჯუზეპე ვერდი "რიგოლეტო", ოპერა ოთხ მოქმედებად
დირიჟორი ზაზა კალმახელიძე
დას: 19.00 სთ
- **მარჯანიშვილის თეატრი**
"საპოვნელა", რეჟ. მედეა კუჭუხიძე
დას: 18: 00 სთ; ფასი 3-6 ლარი
- **თეატრალური სარდაფი**
"გოდოს მოლოდინში", რეჟ. ნიკა კიკაჩეიშვილი, გია ბარაბაძე
დას: 20.00 სთ; ფასი 5 ლარი
- **გრიბოედოვის თეატრი**
"ცხოვრება მშვენიერია", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 18.00 სთ; ფასი 1,50-3 ლარი

საგამოფენო დარბაზები

- **ეროვნული ბიბლიოთეკა (III კორპუსი)**
საქველმოქმედო აქცია ბავშვებისათვის "ერთად ვძერწოთ სიკეთე"
გახსნა 15.00 სთ
- **გიორგი შავგულიძის სახელობის თეატრი**
ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა
გახსნა 15.00 სათ
- **N გალერეა**
ფოტოგამოფენა
გახსნა 18.00 სთ
- **შარდენი**
ოლეგ გორაკიძის ნამუშევრების გამოფენა
გახსნა 17.00 სთ
- **ხელოვნების მუზეუმი**
ია არსენიშვილის ნამუშევრების გამოფენა, (ბატიკა)
- **ძველი გალერეა**
ლევან ხარანაულის პორტრეტების გამოფენა
- **უნივერსი**
ირაკლი სუთიძის ნამუშევრების გამოფენა

კინოთეატრები

- **„ამირანი„**
"ჯუჯა ცხვირა"
დას: 11.00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"მატრიცა 2"
დას: 13.00; 14.00; 19.00; 22.00 სთ; ფასი 6-10 ლარი
- **„ელისო„**
"არსად აფრიკაში"
დას: 18.00 სთ; ფასი 1 ლარი
"ახალდაქორწინებულები"
დას: 15.00, 19.00 ფასი 5,7 ლარი
"X მენი"
დას: 19.30 სთ; ფასი 7 ლარი
"ცისფერი კრიზი"
დას: 17.00, 21.30 ფასი 5,7 ლარი
- **„რუსთაველი„**
"მაუგლი"
დას: 15.00; ფასი 5 ლარი
"X მენი"
დას: 17.00; 22.00 სთ; ფასი 7,9 ლარი
"ახალდაქორწინებულები"
დას: 19.30 ფასი 5 ლარი

TV პროგრამა 1 ივნისი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა
09.00 კურიერი
09.20 დრაკონთა მომთვინიერებლები
10.00 ჯადოძარი
10.45 საბ.ფილმი
12.00, 15.00 კურიერი
12.20 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
15.20 „ველური ამბები"
16.10 მხ. ფილმი
17.00 სერიალი „კოლომბო"
18.00, 00.00 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო"
19.00 მხ. ფილმი „ეს შეშლილი, შეშლილი, შეშლილი სამყარო"
21.00 კურიერი
21.45 ჩვენი ეზო
22.00 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „უნივერსალური ჯარისკაცი" 877 45-79-25 ჟანკლოდ ვანდამი, დოლფ ლუნდგრენი, „მოახლე" 877 45-79-26, ჯენიფერ ლოპესი, რალფ ფაიანსი, „ჩხუბი" 877 45-79-27 ფილიპ ნუარე, იზაბელ იუპერი.
00.15 მხ.ფ. „საბედისწერო ძალი" მთ. რ-ში: რებეკა რობინ-სტამოსი.
02.15 კლასიკა.

პირველი არხი

08.00 მოამბე
08.15 მულტსერიალი „თავგადასავალი სერ კონან დოილის სამყაროში"
08.40 მხ. ფილმი „კეთილი კაცი"
09.40 ზღვარი
10.00 „დილის პაემანი"
11.05 მოკლემეტ. ფილმი „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა"
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 „სპა"
12.35 „პრეს-სტუდია"
13.25 ქართულ-გერმანული მუს. ფესტივალი
13.55 ღამის ჯაზი
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფ. პრორამა ინგლისურ ენაზე
15.20 სატ. ფილმი „მზიური"
16.20 საკვირაო გამოფენა
16.55 მოკლ. ფილმი „ბავშვები"
17.25 დოკ.სერიალი „ბემრიელად მიირთვით ბავშვებო"
17.35 ეძიე ძალი
18.00 ტაიმ-აუტი.
18.20 სატ ფილმი „იწყება ზღაპარი"
18.50 ეკოდაიჯესტი
19.25 ჩვენი მისამართია
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 მუსიკალური ოქტაგონი
21.50 დოკ. ფილმი „ქართველები მარიას თეატრში"
22.40 მეალმანია
23.15 სატ. ფილმი „არდადეგებზე"
00.15 ტაიმ-აუტი
00.45 მხ. ფილმი „მეხუთე ელემენტი".

პირველი სტერეო

10.00 ტროლა
13.00 ბან. ათეული
13.45 ფილმი
15.45 სოლო
16.00 ფილმი „ეს ბედია" მთ.რ-ში კასპერ ვან დიენი.
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
21.15 უცხ. მუსათეული
22.30 პროფათეული
23.00 სოლო
00.00 „ბრავო" „გატაკა" მთ.რ-ში იტან ჰოუკი, უმა თურმანი.
01.40 „ღამურა" „ფოსტა" რეჟისორი ტინტო ბრასი.
03.45 პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 საბავშვო კონცერტი
19.50 მრავალსახეობა
20.30 ვიცი
21.00 დიზაინი
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი „ლიფტიდან მარცხნივ"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „მარტის კატები"
13.30 მხ. ფილმი „არც ცოცხალი არც მკვდარი"
15.00 მხ. ფილმი „შოკოლადი"
17.00 მხ. ფილმი „ადამიანები შავებში"
19.00 ინდ. მხ. ფილმი „ღმერთმა იცის"
22.00 მხ. ფილმი „მის კონგენიალობა"
00.20 მხ. ფილმი „ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ"

იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა
08.30 ახალი ამბები
09.00 მხ. ფილმი „მაღალი მოდა"
10.20 მულტფილმი
12.30 გადაცემა - მურადა (განმ.)
13.00 მუსიკალურ ტალღაზე
15.00 ქიმერიონი
17.00 ოპერა
19.30 დოკ. ფილმი
20.00 მხ. ფილმი „მიწისძვეშეთი"
22.00 ტელე-სინე-ვიდეო
23.00 მხ.ფ.
01.00 ღამის ფილმი

მეცხრე არხი

09.30 დღის ამბები
09.55, 20.15, 21.30, 00.20 მუსიკა
10.00 სერიალი „ალეძს მაკის საიდუმლო სამყარო"
10.25 მულტსერიალი „ვიზიონერები"
11.00 „საუბრები სტუდიაში"
12.00 „ახალი ცხრიანი"
12.50 მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი-1"
15.00 მულტფილმი „გზა ელდორადოზე"
16.30 დოკ. ფილმი „ცეკვა საშიშ მიწაზე"
18.00 დოკ. ფილმი „საოცარი სპორტი"
19.00 „ბელისიმო". ედუარდ ვიცკი.
19.30 „მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 „ოსტატები"
20.40 მხ. სერიალი „ფერადი ცხოვრება" მე-2 ს.
22.00 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები". „გზაზე"
22.15 „ლეო და გეო"
22.30 მხ. ფილმი „სამოთხე"
00.30 მხ. ფილმი „ოტელი-"მილიონი დოლარი".

იმედი

08.59 ქრონიკა
09.05, 15.05, 18.00, 00.50 იმედის მელოდიები
10.20 ანიმაციური სერიალი „ფანტომეტა"
10.50 სერიალი „ნირო ვულფი"
12.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.00 ქრონიკა
13.05 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"
13.30 თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე"
14.30 სპორტ. პრორამა „ასი"
15.25 ქართ. ფილმი „მდგმურები"
17.05 დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის"
18.30 დოკ სერიალი „ისტორიის ერთი კვირა"
19.30 სერიალი „შტოკინგერი"
20.30 ჩ-კლუზივი
21.00 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი"
22.45 „მუღამები"
23.10 მხ. ფილმი „ოცდაცამეტი".

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაივჯესტი
08.20 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 საბავშვო ფილმი „მხიარული დღეები ველურ დასავლეთში"
10.40 „ყველანი ვართ პატარები"
10.50 „Слово"
11.20 დოკუმენტური ფილმი
12.10 სათავგადასავლო ფანტასტიკა „კონტაქტი"
14.30 ისტორიული ფილმი „მეფეთა მეფე"
16.10 მულტფილმი
17.35 კომედია „იდეალური სათამაშო"
19.20 მუსიკა
20.15 თრილერი „შემაკი საკუთრება"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
22.20, 00.20 „Новости в воскресенье"
22.40 „Величественное наследие"
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.40 დოკუმენტური ფილმი
01.00 ისტორიული ფილმი „დრუიდები"
03.20 ისტორიული ფილმი „ბუს ციხესიმაგრე"

VII არხი

16.50 „ლა-ლა-ლა"
17.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.00 ევროპული ფეხბურთი
18.45 „აჩიკუდა"
19.50 კომპიუტერული ტექნიკა
20.30 ავტოტრეკინგი
21.20 კომპიუტერული თამაშები
21.25 „კინოკლუბი „ - „წითელი ვიოლინო"
23.30 სპორტული პრორამა - „ევროპული ფეხბურთი" -ესპანეთის ჩემპიონატი.
01.15 აუდიო-ვიდეო-ტელე.

ОРТ

07.00, 08.00, 11.00, 15.00, 00.35 Новости
07.10 „КИТАЙСКИЙ СВЯЗНОЙ"
09.00 „Твинисы" 09.20 Армейский магазин
09.50 Дисней-клуб
10.10 В мире животных
11.10 „Непутевые заметки"
11.30 Пока все дома
12.05 Дог-шоу
12.50 „Гойко Митич"
13.20 „Клуб путешественников"
14.05 „Умницы и умники"
14.35 „Геркулес"
15.15 „Властелин вкуса"
16.15 „Ералаш"
16.40 Худ. фильм „ПРИНЦЕСА МОНОНОКЕ"
19.00 Времена
20.15 Юбилейный концерт В.Шаинского
22.30 Театр кукол
23.00 Боевик „ДЕТСАДОВСКИЙ ПОЛИЦЕЙСКИЙ"
01.05 Бокс. Аселино Фреитас - Хуан Карлос Рамирес.
01.35 Михаил Веллер. Байки города Питера.
02.30 Триллер „ПЕРЕВАЯ МИЛЛЕРА".

РТР

07.00 Худ. фильм „Витя Глушаков - друг апачей"
08.10 Мультфильмы
08.35 Мультфильм „Джуманджи"
09.20 Русское лото
10.05 ТВ Бинго шоу
10.35 Вести-Москва
11.15 Городок. 'Я Вас любил'
11.50 Торжества, посвященные 300-летию Санкт-Петербурга
12.20 Худ. фильм „Жажда золота"
14.10 Парламентский час
15.00 Вести
15.20 Вокруг Света
16.15 Диалоги о животных
17.20 Мир на грани
17.50 Комната смеха
18.50 Концерт 'Взрослые и дети'.
20.50 В Городке. 'Летний отдых'
21.00 Вести недели
22.10 Специальный корреспондент
22.35 Худ. фильм „Адвокат дьявола"
01.25 Концерт Александра Розенбаума
02.15 Чемпионат мира 'Формула-1' Гран-при Монако.
04.25 Сериал „Семь дней"

НТВ

07.30 Детское утро на НТВ. "Полундра!"
07.55 Худ. фильме "БУМБАРАШ". 1-я с.
09.00, 13.00, 17.00 Сегодня.
09.20 Фильм "БУМБАРАШ". 2-я с.
10.25 Лотерея "Шар удачи".
10.55 Сериал по воскресеньям "ЛЮБОВЬ ВДОВЦА".
11.50 Вы будете смеяться!
12.15 Клара Лучко в программе "Растительная жизнь".
13.15 Важные люди в программе "Влияние".
14.05 Комедия "СУЕТА СУЕТ".
15.50 Вкусные истории.
16.05 Своя игра.
17.20 Играем в "Кено".
17.25 "Хочу усыновить ребенка". Ток-шоу "Принцип домино".
18.35 Детектив "ВОПРЕКИ ВСЕМУ!".
20.00 "Преступление в стиле "модерн": убийство из-за кольца".
20.45 Детектив "СЫЩИКИ-2: АНГЕЛЬСКАЯ ПЫЛЬ".
22.00 "Намедни" с Леонидом Парфеновым.
23.30 Худ.фильм "РОБ РОЙ".
02.10 Сериал "КЛАН СОПРАНО".

პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო 'ინფოზავრის' ნებართვით

დაფნის გვირგვინი ახალგაზრდა ვიოლონჩელისტს

ორგზის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი თბილისში კონცერტზე ოცნებობს

ვერა ნეფარიძე

გიორგი ხარაძე დუეს მე-15 საერთაშორისო კონკურსის დასკვნით საღამოს გვირგვინით შეამკეს. ახალგაზრდა ქართველ ვიოლონჩელისტს საფრანგეთსა და გერმანიაში ძალიან პერსპექტიულ მუსიკოსად მიიჩნევენ. "ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, გიორგი ხარაძის ვირტუოზულობას და განსაცვიფრებლად ჩამოყალიბებულ მუსიკალურ სიმწიფეს, ძნელად თუ ვინმემ შეიძლება გადააჭარბოს მის მეორე სამშობლოში – პარიზშიც კი", - წერდა შარშან Nurtinger Zeitung. წელს გიორგი ხარაძე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი მეორედ გახდა. ყველაფრის მიუხედავად, მუსიკოსის ოცნებად თბილისური კონცერტი რჩება. თუმცა, თავად დარწმუნებულია, რომ უახლოეს ხანებში ამასაც მიაღწევს...

ემიგრანტები

უკვე აშკარად გამოიკვეთა ახალი, ქართველი ემიგრანტი მუსიკოსების ფენომენი. ეს ის ხალხია, ვინც აქაურობას გაექცა და საკმაოდ წარმატებული კარიერა ააწყო საზღვარგარეთ. მათ შორის არიან ისეთები, რომლებიც უკვე აღიარებული "ვარსკვლავების" სტატუსით ჩამოდიან საქართველოში. მათ შემოქმედებას აქ მეტ-ნაკლებად იცნობენ. თუმცა, არიან ისეთებიც, რომელთა შესახებაც ჩვენთან ძალიან ცოტას, ახლობელთა და პროფესიონალთა ვიწრო წრეს სმენია, სამაგიეროდ, მათ შესახებ შედარებით ბევრი იციან უცხოეთში, იქ, სადაც მოღვაწეობენ, წარმატებით სწავლობენ და ა.შ. ერთ-ერთი მათგანია 18 წლის ვიოლონჩელისტი, პარიზის ეროვნული კონსერვატორიის სტიპენდიანტი გიორგი ხარაძე, რომელმაც წელს, ქალაქ დუეს ჟორჟ პრეტრის სახელობის მე-15 საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა.

გიორგი მუსიკოსების, არჩილ ხარაძისა (ალტი) და ლიანა ჩიქოვანის (ალტი, ვიოლინო) უმცროსი შვილია. თავად ლიანა ჩიქოვანი კი ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მხატვრის, შალვა ჩიქოვანისა და ამავე თეატრის მომღერლის, ვენერა ჩიქოვანის შვილია. მუსიკოსების ეს ოჯახი (გიორგიც და – თეონაც მუსიკოსია) თერთმეტი წელიწადია პარიზში ცხოვრობს. ყველაფერი 1992 წელს დაიწყო, როდესაც საერთაშორისო კონკურსის ორგზის გამარჯვებული სიმებიანი კვარტეტი "თბილისი" (მაშინ თბილისის რადიოსა და ტელევიზიის კვარტეტი ერქვა) საფრანგეთში იყო გასტროლებზე. საფრანგეთის კულტურის მაშინდელმა მინისტრმა ბ-ნმა ჟაკ ლანგმა ქართველ მუსიკოსებს საცხოვრებლად საფრანგეთში გადასვლა და ქალაქ ბლუაში მოღვაწეობა შესთავაზა. გასაკვირი არ არის (მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საუბარია სამოქალაქო ომის დროინდელ პერიოდზე), რომ ყველა მათგანი ასეთ წინადადებას დათანხმდა. პარიზის მუსიკალურ წრეებში ხარაძეების ოჯახს, საოჯახო კვარტეტის "ხარაძის" სახელითაც იცნობენ. მუსიკა არჩია ოჯახის უფროსმა შვილმა თეონამაც, რომელმაც პარიზის კონსერვატორია დაამთავრა და შექმნა სიმებიანი კვარტეტი "სულიკო". ამჟამად იგი საფრანგეთის ქალაქ რუანის ორკესტრის სოლისტი და კონცერტმეისტერია.

გიორგი ხარაძე (მარჯვნივ) ოჯახთან და ლადო ათანელთან ერთად

"ეს იყო მეტი, ვიდრე აღტაცებაა..."

საფრანგეთში გიორგიმაც საოჯახო კვარტეტში დაიწყო მუსიკალური კარიერა. 13 წლის იგი უკვე ორლეანის კონსერვატორიის აბიტურიენტი იყო, ხოლო ორ წელიწადში პარიზის კონსერვატორიაში ჩაირიცხა. იმავე წელს პირველი პრემია მოიპოვა საფრანგეთის ვიოლონჩელისტთა ეროვნულ კონკურსში, რომელიც ქალაქ შამპანში გაიმართა.

ახალგაზრდა ქართველი ვიოლონჩელისტის აღიარება მოჰყვა მის გამოსვლას შარშან შტუტგარტში გამართულ საერთაშორისო კონკურსში. კონკურსის დასკვნით საღამოს მუსიკოსმა შტუტგარტის სახელოვან ორკესტრთან ერთად დაუკრა. "ამ კონცერტს ადვილად ვერ დაივიწყებენ. 17 წლის გიორგი ხარაძეს, თითქმის წარმოუდგენელი მუსიკალური სიმწიფითა და საკუთარი ინსტრუმენტის დამაჯერებელი ფლობით, მსმენელი ორი საათის განმავლობაში მრავალფეროვან მუსიკალურ საოცნებო მოგზაურობაში ჰყავდა", - ასე შეაფასა Nurtinger Zeitung-ის კრიტიკოსმა გიორგი ხარაძის შარშანდელი საკონცერტო გამოსვლა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში, ქართველი მუსიკოსის შესახებ ევროპული პრესა სიტყვებს არ იშურებს.

ბოლო წარმატებას გიორგი ხარაძემ მარტში მიაღწია, როდესაც მან ჟორჟ პრეტრის კონკურსის პირველი გრან-პრი (თანხა – 3 ათასი ევრო) მოიპოვა. ამ კონკურსში 17 ქვეყნიდან 40 მუსიკოსი მონაწილეობდა. ქართველი ვიოლონჩელისტი პირველ ადგილზე გავიდა, მეორე-მესამე ადგილები კი კანადელმა და შვედმა მონაწილეებმა გაიანაწილეს. როგორც გაზეთ La Voix du Nord-ის მიმომხილველი წერს: "გიორგი ხარაძე კონკურსის დაფნის გვირგვინოსანია. გამარჯვებულის გამოსვლამ კომისიის წევრების ერთსულოვანი აღიარება გამოიწვია. მის კარიერაში მნიშვნელოვანი იქნება კონცერტები დუეს ორკესტრთან, რომლის რეპუტაცია საბოლოოდ გასცდა ჩვენი ძველი კონტინენტის საზღვრებს." რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს უკანასკნელი გამარჯვება მუსიკოსს უფლებას აძლევს, საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში კონცერტების სერია გამართოს სწორედ აღნიშნულ ორკესტრთან ერთად.

ახლა ჯაზის დროა

"ისთერნ პრომოუშენი" ტრადიციული თბილისური ზაფხულის სამზადისში

ვერა ნეფარიძე

ზაფხულის დადგომამდე, კალენდარულად, რასაკვირველია, ორი დღე დარჩა. დაახლოებით ეს პერიოდი გვაშორებს ჯაზის სეზონამდე. ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი წლების განმავლობაში ასეა - ზაფხული თბილისში ჯაზის ასოციაციას იწვევს. "თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი" უკვე ქვეყნის, წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა შორისაა. მოახერხებს თუ არა "ისთერნ პრომოუშენი" ასეთი იმიჯის შენარჩუნებას, ამას მას შემდეგ ვივარაუდებთ, როგორც კი წლევანდელი ფესტივალის მონაწილეთა სიას გადავხედავთ.

ვიდრე წლევანდელი, რიგით მეშვიდე ფესტივალის შემადგენლობას გავეცნობით, ჯობს ცნობილი ქართული პროდიუსერული კომპანიის ბოლო დროის ღონისძიებებს გადავხედოთ. ამ კონცერტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ისთერნ პრომოუშენმა" საკმაოდ წარმატებულად სცადა ბედი შედარებით მსუბუქი და საყოველთაოდ პოპულარული მუსიკის სფეროშიც. ამის მაგალითია თუნდაც ცნობილი რუსული პოპ-როკ ჯგუფის Мумий Тролль-ის ერთდღიანი წარმატებული კონცერტი "აჭარა მიუზიკ ჰოლში". როგორც "ისთერნ პრომოუშენის" წარმომადგენლები ამბობენ, მსგავსი კონცერტები წლის განმავლობაში მათგან კვლავ არის მოსალოდნელი. როგორც ნავარაუდევია, ერთ-ერთი პირველი სტუმარი ისევ რუსეთიდან, ზემფირა უნდა იყოს. ვნახოთ, როგორ მოაგვარებს ეს ქალბატონი პრობლემებს ჯგუფის შიგნით. სწორედ ამაზეა დამოკიდებული

"თბილისის VII საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალის" სტუმრები

მათი თბილისური გასტროლების ბედი. მანამდე, კი ქართული კომპანია კვლავ მისთვის ნიშვნელოვან პროექტს, თბილისის ჯაზური მუსიკის ერთ-ერთ ცენტრად ჩამოყალიბებას მიხედავს.

"ისთერნ პრომოუშენის" უახლესი კონცერტი "აჭარა მიუზიკ ჰოლში" რვა ივნისს გაიმართება. მაგრამ ამ კონცერტით არ იხსნება "თბილისის მეშვიდე საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი". ბილი კობემისა და მისი ჯგუფის კონცერტით თბილისელები შეემზადებიან თვის ბოლოს დაგეგმილი ჯაზის ფესტივალისთვის. ბილი კობემი თბილისში, ამავე ფესტივალზე სამი წლის წინათაც გამოვიდა. წელს კი საუკეთესო (ჯაზ-მუსიკოსებს შორის) დასარტყამ ინსტრუმენტალისტად აღიარებული მუსიკოსი განსხვავებული შემადგენლობით თბილისელებს ახალ საკონცერტო პროგრამას - Culture Mix-ს შესთავაზებს. კობემი ამჯერად თბილისს ასეთი შემადგენლობით ეწვევა: სტეფან რეიდმახერი – ბასი, პერ გადი – გიტარა, მარჯოს უბედა – ქიბორდი, ჯუნიორ გილი – პერკუსია.

ჯაზ-ფესტივალს თბილისში 21 ივნისს ბრიტანული ეისიდ-ჯაზ პროექტი "ინკოგნიტო" გახსნის. ჯგუფი კარგადაა ცნობილი მსუბუქი, ახალგაზრდული ჯაზისა და პოპულარული მუსიკის მოყვარულებისთვის. ეს არის ჯგუფი, რომელმაც საყოველთაო აღიარება გამოჩენისთანავე, ეისიდ-ჯაზის "ოქროს ხანაში" მოიპოვა. მათი პირველი წარმატებული სინგლის გამოსვლიდან თორმეტი წელიწადი გავიდა, მაგრამ ჯგუფს კვლავ დიდი აღტაცებით ხვდებიან მსოფლიოს სხვადასხვა სცენებზე, ამაზე მეტყველებს მათი ხშირი ტურნეები, რომლის ერთი მცირე ნაწილთაგანია თბილისური კონცერტი. ბრიტანელ მუსიკოსებს ჩვენთან "აჭარა მიუზიკ ჰოლი" უმასპინძლებს.

"ინკოგნიტოსთან" შედარებით ნაკლებად გასართობი იქნება ფესტივალის შემდეგი სტუმარის კენი გარეტის გამოსვლა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე. სამაგიეროდ, უდავოდ დიდი სიამოვნება ელით კარგი ჯაზის მოყვარულებს - ბოლოს და ბოლოს, კენი გარეტი მაილს დევისის საყვარელი მოსწავლეა. ჩვენ კი მისი შემოქმედების შესახებ უფრო დაწვრილებით შემდეგ წერილებში ვისაუბრებთ. ფესტივალის ფინალური მუსიკალური იმპორტი კი ამერიკიდან გველის. დიდ საკონცერტო დარბაზში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ვოკალური ჯაზ-სექსტეტი Take 6 იმღერებს. ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ ფესტივალში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ქართველი ჯაზშემსრულებლები: დინი ვირსალაძე, "თბილისის დიქსილენდი", Ethno 10, სხვათა შორის, ფესტივალზე სტუმრებს ამ უკანასკნელის პრემიერა ელით. ასევე "აჭარა მიუზიკ ჰოლში" დაგეგმილია ჯაზ-ჰაუს ფართი დიჯეი ედგარ სებისისა და მუსიკოს მერაბ სანოძის შესრულებით.

ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სასწავლებელს მსოფლიო ბანკი ეხმარება

გამოსაშვები საღამო

ბესო ბელაშვილის ფოტო

A1 გვერდიდან

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ საბალეტო სასწავლებლის ხელმძღვანელობამ გააკეთა განცხადება, იმის შესახებ რომ წელს მისაღებ გამოცდებს ვეღარ ჩაატარებდა და საკუთრივ საბალეტო სასწავლებელი სექტემბრიდან აღარ იფუნქციონირებდა. ამას გარდა, საბალეტო სკოლის მესამე კურსელთა გამოსაშვებმა კონცერტებმა აქციის სახე მიიღეს. ამ დემონსტრაციული განცხადებების მიზეზი, სასწავლებლის დირექტორის თამაზ ვაშაკიძის თქმით, გახდა ის, რომ მათ არავითარი იმედი ჰქონდათ დახმარებისა. ანუ სასწავლებლის ხელმძღვანელობას არ ჰქონდა რეალური საბუთი, რომ ავარიულ საბალეტო სასწავლებლის შენობას დამდეგი სასწავლო წლისათვის ვინმე დაეხმარებოდა ფინანსურად.

როგორც აღინიშნა, დღეს სიტუაცია კარდინალურად შეცვლილია. თამაზ ვაშაკიძის მიერ "24 საათის" რედაქციაში გაკეთებულ პირველ განცხადებას ორ დღეში გამოხმაურება მოჰყვა სახელმწიფოს მინისტრის პირველი მოადგილის, საზოგადოებრივ საკითხებში, აკაკი ზოიძის მიერ. 30 მაისს სახელმწიფო კანცელარიაში საბალეტო სასწავლებელში შექმნილ სავალალო სიტუაციასთან დაკავშირებით აკაკი ზოიძემ მოიწვია, როგორც საბალეტო სკოლის დირექტორი და ბალეტის მოცეკვავეთა მშობლები, ასევე უმაღლესი ხელისუფლების პირები.

"ჩვენ განვუცხადეთ და დავამშვიდეთ თამაზ ვაშაკიძეც და მშობლებიც, რომ მსოფლიო ბანკიდან საჭირო თანხა უკვე მიღებულია. ასე რომ, შენობის გარემონტებას არაფერი უდგას წინ... მსოფლიო ბანკის პროექტი მიწისძვრით დაზიანებული სასწავლებლების შენობების გარემონტებისათვის უკვე გასულ წელს იყო შემუშავებული. თუმცა, ბიუროკრატიული წინაღმდეგობების გამო დაფინანსების საკითხი გაწელილია. ჩვენმა სამსახურმა ყველა ღონე იხმარა იმისათვის, რომ საბალეტო სასწავლებელი, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი პრიორიტეტული სკოლა, უპირველეს ყოვლისა, გარემონტდეს..." – განაცხადა აკაკი ზოიძემ "24 საათთან" საუბრისას.

სხვათაშორის, თამაზ ვაშაკიძე ხაზს უსვავს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო კანცელარიამ საბალეტო სკოლას მხოლოდ 29 მაისს გაკეთებული განცხადების შემდეგ მიმართა დახმარებისათვის. მისივე თქმით, საბალეტო სასწავლებლის დირექციას ადრეც ჰქონდა ინფორმაცია მსოფლიო ბანკის დახმარების შესახებ, მაგრამ ამ ინფორმაციას ოფიციალურად არცერთი ხელისუფალი არ ადასტურებდა.

ახლა საბალეტო სკოლას მხოლოდ მისალოცად აქვს საქმე. ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელს დახურვა აღარ ემუქრება. რაც შეეხება მისაღებ გამოცდებს, თამაზ ვაშაკიძის თქმით, გამოცდები, ჩვეულებისამებრ, 9-10 ივნისს ჩატარდება.

ამ დღეებში კი საბალეტო სასწავლებლის მესამე კურსდამთავრებულებს გამოსაშვები საღამოები ოპერის თეატრში აქვთ. ბალეტის 15 მოცეკვავე ასრულებს ვარიაციებს ბალეტებიდან: "გედის ტბა", "ზიგფრიდი", "მაკნატუნა", "დონ-კიხოტი" და სხვა.

ჯობს იყო ოზი ოსბორნის შვილი, ვიდრე ტონი ბლერის

ასეთი არჩევანი ბრიტანელების უმრავლესობამ გააკეთა. ახლახან დიდ ბრიტანეთში დასრულდა ინგლისური საკაბელო ტელევიზიის The Biography Channel-ის ორგანიზებული გამოკითხვა. გამოკითხულებს უნდა ეპასუხათ შეკითხვაზე, თუ ვის ისურვებდნენ შოუ-ბიზნესის წარმომადგენელთაგან საკუთარი დედისა და მამის როლში. უმრავლესობამ არჩია საკუთარი ჰიპოტეტიკური მამის როლში დიდებული და საშინელი ოზი ოსბორნი ეხილა, ვიდრე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი. MTV-ის რეალური შოუს გმირმა ხმების ცხრა პროცენტი მოიგო, პოლიტიკოსმა კი მხოლოდ - ექვსი. ასეთი არაჩვეულებრივი რეიტინგის სათავეში მილიონერი სერ რიჩარდ ბრენსონი მოექცა. ის საკუთარ მამად ბრიტანელების 37-მა პროცენტმა ისურვა. მეორე ადგილზე 14 პროცენტით ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი აღმოჩნდა.

ყველაზე პოპულარულ დედად დონ ფრენჩი აღიარეს, მან ასევე 37 პროცენტი აიღო, მეორეზე მადონა გავიდა, მესამე ადგილზე კი კეტრინ-ზეტა ჯონსი. როგორც გამოკითხვამ აჩვენა, იმის მიუხედავად, რომ საზოგადოება კარგად უყურებს გამოჩენილ ადამიანებს, თავად არ სურს მათ ადგილზე ყოფნა. გამოკითხულთა 83 პროცენტს არ სურს ვარსკვლავობა. ვარსკვლავთა ყველაზე უარყოფით მხარედ მათ საყოველთაო ყურადღებას ასახელებენ. ასევე მიაჩნიათ, რომ პოპულარობის შემთხვევაში ისინი მალევე დაკარგავენ მეგობრებს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თბილისში მსგავსი გამოკითხვა აბსოლუტურად საპირისპირო შედეგებით დასრულდებოდა.

იმპერიის სიმბოლო

ბიგ ბენი

ბიგ-ბენი - აყვავების ხანის სიმბოლო

გუშინ დიდი ბრიტანეთის ისტორიის ღირსშეაანიშნავი თარიღი აღინიშნა: 1859 წლის 31 მაისს ლონდონში პირველად ჩამოჰკრა დღეს უკვე მთელს მსოფლიოში ცნობილმა ბიგ ბენმა.

დიდი ბრიტანეთის დედაქალის ეს ღირსშესანიშნაობა სინამდვილეში არც კოშკია (ის წმინდა სტეფანეს სახელობისა გახლავთ) და არც საათი. ეს ზარია, თან საკმაოდ საინტერესო ბიოგრაფიის მქონე:

1844 წელს ინგლისის პარლამენტის გადაწყვეტილებით შეიქმნა კომისია, რომელსაც ზუსტი საათით დაგვირგვინებული კოშკის აშენებაზე უნდა ეგო პასუხი. 1851 წელს ედმუნდ ბეკეტ დენისონმა კოშკის საათის ზარების ჩამოსხმა დაიწყო.

ოსტატი ამპარტავნობამ დაღუპა: მას უნდოდა იმხანად ყველაზე მძიმე, იორკის ათტონიან ზარზე, "დიდ პიტერზე" დიდი ზარი ჩამოესხა, მაგრამ მისი ნაკეთობა პირველი ჩამოკვრისთანავე გასკდა.

მაშინ დენისონმა კომპანია „ვაით-ჩეპელს" მიმართა. ახალი ზარი ოსტატმა ჯორჯ მირსმა ჩამოასხა. 1859 წლის 31 მაისს ის თექვსმეტი ლამაზად შეკაზმული ცხენით პარლამენტის შენობასთან მიაბრძანეს და დიდი ზარ-ზეიმით აიყვანეს კოშკზე.

იმ დღეს პარლამენტში საგანგებო სესია გაიმართა, რომელიც ზარის სახელწოდებას ეძღვნებოდა. სესიას ესწრებოდა სამშენებლოს სამუშაოების უფროსი, სერ ბენჯამინ ჰოლი, პარლამენტში დიდი ბენის სახელით ცნობილი - სერ ჰოლი ტანად დიდი კაცი ყოფილა, ამიტომ შეერქვა დიდი ბენი ("ბიგ" ინგლისურად დიდს ნიშნავს). ის გრძელ და დამღლელ სიტყვას წარმოთქვამდა, და ვიღაცამ შესძახა: "დავარქვათ ამ ზარს ბიგ ბენი და მოვრჩეთ..." ხარხარი ატყდა, და პარლამენტმა ეს წინადადება ერთსულოვნად მიიღო.

მეორე ვერსიის თანახმად, ზარს დედოფალ ვიქტორიას დროინდელი ძალოსანისა და მოკრივის სახელი ჰქვია. პრინციპში, დანამდვილებით არავინ არაფერი იცის, ეს სულ ლეგენდებია.

კოშკზე აღმართვის შემდეგ ორი თვის თავზე ზარი გაიბზარა და სამი წელი დუმდა. შემდგომ მას უფრო მსუბუქი ჩაქუჩი დაუმზადეს, მაგრამ ბზარი მის ხმაში მაინც იგრძნობა.

დღეს გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის კოშკის ზარის ხმა მთელ მსოფლიოში ისმის. BBC-ს რადიოსამსახურის მიკროფონები საათში ერთხელ მის რეკვას გადასცემს. ოფიციალური საერთაშორისო დროის სტანდარტით სწორედ ბიგ ბენმა აუწყა პლანეტას ახალი ათასწლეულის დადგომა.

ბიგ ბენის ციფერბლატები ოთხივე მხარეს იხედება. ისინი ბირმინგემის ოპალისგანაა დამზადებული, საათის ისრები თუჯისგანაა ჩამოსხმული, წამმზომი - ფურცლოვანი სპილენძისგან.

96 მეტრიან კოშკზე ასვლა ვიწრო კიბით შეიძლება. 334 საფეხურის გავლის შემდეგ პატარა ღია ბაქანზე მოხვდებით, რომლის ცენტრშიც ლეგენდარული ზარი "ბინადრობს". ზარი 13,72 ტონას იწონის, მისი დიამეტრი 2,74 მეტრია.

ისევე, როგორც ნებისმიერი მექანიზმი, ინგლისის პარლამენტის კოშკის დამამშვენებელი საათიც ზოგჯერ იგვიანებს ან წინ გარბის ხოლმე. უნდა ითქვას, რომ 1,5-2 წამზე მეტად არასოდეს "შეუცოდავს", და მდგომარეობის გამოსასწორებლად მხოლოდ ძველი ინგლისური ხურდა ფული – პენიც კმარა. არავინ იცის, პირველად ვის მოუვიდა აზრად მონეტის გამოყენება, მაგრამ აზრი აშკარად საღი აღმოჩნდა: როცა ოთხმეტრიან ქანქარაზე ძველი ინგლისური პენი დევს, მისი მოძრაობა დღე-ღამეში 2,5 წამით ჩქარდება. მოკლედ, მექანიზმი შესანიშნავად მუშაობს.

მართალია, ზოგჯერ უცნაური ამბებიც ხდება ხოლმე. მაგალითად, 1949 წელს საათის ისარზე მერცხლები ჩამოსხდნენ, რის შედეგადაც საათი 4,5 წუთით ჩამორჩა, 1962 წელს კი დიდთოვლობის გამო ბიგ ბენმა დიდ ბრიტანეთს ახალი წლის დადგომა 10 წუთით გვიან აუწყა.

ბიგ ბენი თავისი დროის, ქვეყნის აყვავების ხანის სიმბოლოა. მას ლათინური წარწერა ამშვენებს: "ღმერთი ჰფარავდეს დედოფალ ვიქტორიას!" ასე გამოხატეს ბრიტანელებმა პატივისცემა მონარქის მიმართ, რომლის დროსაც ცნება "ბრიტანეთის იმპერია" წარმოიშვა.

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აჩერებს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიმეჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

ბრიჯი

გურამ ბერიშვილი

N9

შემოთავაზებული იყო დარიგება კომპუტერულ პროგრამათა შეჯიბრიდან. ეს ხელი გათამაშდა პროგრამა Blue Chip-სა და MicroBridge-ს შორის. ორივემ გაითამაშა 3 უთულფო W-დან. MicroBridge-მა N-დან დაიწყო ყვავით. Blue Chip-მა მისცა ერთი აგური და შემდგომ აიღო სამი აგური, აიღო ერთი ჯვარი და ერთი გული, სულ ცხრა აღება.

♠ 9 8 7
♡ 10 7
◇ A 9 3
♣ A V 10 6 3

♠ A K D 2 ♡ 4 2 ◇ K D V 8 ♣ D 4 2 — N W E S — ♠ V 10 4 ♡ A D V 9 6 ◇ 10 7 5 4 ♣ K

♠ 6 5 3
♡ K 8 5 3
◇ 6 2
♣ 9 8 7 5

Blue Chip-მა MicroBridge-ის წინააღმდეგ დაიწყო ჯვრის ვალეტით. MicroBridge-მა აიღო ჯვარი, შემდეგ აიღო ოთხივე ყვავი და გადასცა ხელი N-ს აგურით. N-მა აიღო ჯვრის ტუზიც და გამოვიდა ჯვრით. საბოლოოდ MicroBridge-მა აიღო სამი აგურიც და ერთი გულიც, სულ 10 აღება. სწორედ ამ მცირე განსხვავებამ განსაზღვა გამარჯვება ამ ხელში.

შევეცადოთ მივაღწიოთ იგივე შედეგს და ნაწილობრივ გამოვიყენოთ აღწერილი ნატურალური სისტემა.

W-ს აქვს 17 ქულა განაწილების გარეშე, სულ 18 ქულა. იგი აცხადებს "1♠"-ს (ორი ტოლი ფერი, მაგრამ ყვავი მაჟორია). N-თან პრობლემაა, მას აქვს 10 ქულა და გამოსაცხადებელი მხოლოდ ჯვარი. მეორე დონეზე ასასვლელად ჩვენ ექვსი კარტი ჩავთვალეთ საჭიროდ, მას კი მხოლოდ 5 აქვს. "კონტრ" არ შეიძლება, ყვავში სამია. და მაინც უნდა ითქვას "2♣". E-ს 13 ქულა აქვს, დისტრიბუციის გარეშე 11. მართალია, ტიტველი K მაინც და მაინც კარგი არ არის, ამიტომ "2♡". S, რასაკვირველია, "პას". W-ს შეუძლია პირდაპირ დანიშნოს "3 უთულფო", მაგრამ შესაძლებელია "2 უთულფო" და N-ის პასის შემდეგ E-დან "3 უთულფო". ასეა თუ ისე, ბუნებრივად ინიშნება კონტრაქტი 3 უთულფო.

წინა პუბლიკაციაში აღვწერეთ თუ როგორ უნდა იმოქმედოს მოთამაშემ, როდესაც მის წინ მოწინააღმდეგემ გახსნა აუქციონი ერთით ფერში. იმის მაგივრად, რომ გავაგრძელოთ ამგვარი აღწერა სხვა გახსნების შემთხვევაში, მოგაწოდებთ გამხსნელისა და მისი პარტნიორის დიალოგს მოწინააღმდეგის სიჩუმისას (მოწინააღმდეგე არ ერევა აუქციონში, მუდმივად ამბობს "პას").

ამ დიალოგის გამო ჰქვია თამაშს ბრიჯი (bridge ინგლისურად ხიდს ნიშნავს).

პარტნიორმა გამოაცხადა ერთი ფერში. ეს ნიშნავს 13 - 19 ქულას (ჯვრის შემთხვევაში 13 - 23) და თუ აღმოჩდა 15-ზე მეტი, არათანაბარ განაწილებას. ნიშნავს აგრეთვე, რომ გამოცხადებული ფერი სიგრძით დანარჩენებზე ნაკლები არ არის.

რას ვამბობთ?

პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ ჩვენი წყვილის შესაძლებლობათა დიაპაზონი. თქვენ, ბუნებრივია, იცით თქვენი ხელი ზუსტად, ხოლო პარტნიორის ხელი გარკვეული სიზუსტით. ესე იგი იცით მოსალოდნელია თუ არა შლემის თამაში, გეიმის თუ ნაწილობრივი კონტეაქტის. თუ თქვენ ხედავთ, რომ გეიმიც კი შეუძლებელია, ჯობს დროზე გავჩერდეთ. თუ ხედავთ, რომ შლემია შესაძლებელი, დროზე უნდა გაირკვეს ვითარება. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება. ყოველი შემდგომი თაქვამის მიხედვით უნდა ეცადოთ დააზუსტოთ წყვილის შესაძლებლობა.

თუ ვიგულისხმებთ, რომ ჩვენ პარტნიორს შეიძლება ჰქონდეს 19 ქულა, 6 ქულითაც კი პასი არ უნდა ვთქვათ, რადგან 19 + 6 = 25 და ამ სიძლიერით შესაძლოა გეიმის თამაშიც. ეს შესაძლებლობა არ უნდა დავკარგოთ. თუ ჩვენ გვაქვს 4 ქულა, გეიმი ილუზორულია და გაბედულად შეიძლება პასის გამოცხადება. ესე იგი, 0 - 5 ქულით ჩვენი პასუხია "პას". გახსენებთ, რომ იშვიათობებზე არ ვსაუბრობთ. მაგალითად, თუ თქვენ გაქვთ ყველა კარტი ყვავში გარდა პირველი ოთხისა, ანუ ცხრა მცირე ყვავი, ბუნებრივია, ნული (დისტრიბუციის გარეშე) ქულითაც კი პასუხობთ "1♠". თუმცა დისტრიბუციის გათვალისწინებით 5 ქულა მაინც გამოდის.

რას ვაცხადებთ 6 ქულით?

პირველ რიგში, უნდა ვიზრუნოთ თულფის შერჩევაზე. თუ პარტნიორის მიერ გამოცხადებულ ფერში გვაქვს 4 ან მეტი კარტი, უნდა ვიზრუნოთ მხარდაჭერაზე (4 + 4 = 8 თულფი მინიმუმ თქვენთანაა). ეს შეიძლება იყოს უბრალო გამეორება მეორე დონეზე, ან თუ უფრო ძლიერი ხართ ნახტომითაც. თუ პარტნიორის მიერ შემოთავაზებული ფერი თულფად არ გვეჩვენება სასარგებლოდ (ამ ფერში არა გვაქვს 4 ან მეტი კარტი) და გვაქვს ოთხი ან მეტი კარტი სხვა ფერში, უნდა გამოვაცხადოთ იგი. ერთი შენიშვნა. არ უნდა გადავიდეთ მეორე დონეზე, თუ არა გვაქვს 10 ქულა მაინც და 5 კარტი გამოცხადებულ ფერში.

რა გამოვაცხადოთ თუ მეორე დონეზე ვერ ავდივართ, პირველზე არა გვაქვს გამოსაცხადებელი ფერი და პასი ხელს არ გვაძლევს? "1 უთულფო". ეს პასუხი ნიშნავს, რომ პარტნიორის გამოცხადებულ ფერში 4 კარტი არა გვაქვს, საკუთარ ფერს ვერ ვაცხადებთ და სუსტი ვართ.

თუ ძლიერი კარტი გაქვთ, მაშინ ამ ინფორმაციის გადასაცემად იყენებენ ნახტომს, ანუ გამოტოვებენ დაბალ შესაძლებლობას და აცხადებენ უფრო მაღალ დონეს.

განვიხილოთ თანმიმდევრულად რას შეიძლება ნიშნავდეს ყოველი ცალკეული განაცხადი. ვთქვათ თქვენმა პარტნიორმა გახსნა აუქციონი განაცხადით "1♡". როგორ უნდა გაიგოს პარტნიორმა თქვენი განაცხადი

პას	0 - 5 ქულა
1♠	6 - 16 ქულა, 4 ან მეტი ყვავი, გულში 3 ან ნაკლები
1 უთ	6 - 9 ქულა, ყვავი არ ვარგა, გულშიც 3 ან ნაკლები
2♣	10 - 12 ქულა, 5 ან მეტი ჯვარი, გულში 3 ან ნაკლები
2◇	10 - 12 ქულა, 5 ან მეტი აგური, გულში 3 ან ნაკლები
2♡	6 - 12 ქულა და 4 ან მეტი გული
2♠	ნახტომი: 16 ან მეტი ქულა, 5 ან მეტი ყვავი, გულში 3 ან ნაკლები
2 უთ	10 - 12 ქულა, თანაბარი განაწილება, გულში 2 მაინც
3♣	ნახტომი: 16 ან მეტი ქულა, 5 ან მეტი ჯვარი, გულში 3 ან ნაკლები
3◇	ნახტომი: 16 ან მეტი ქულა, 5 ან მეტი აგური, გულში 3 ან ნაკლები
3♡	16 ან მეტი ქულა და 4 ან მეტი გული. შლემის იმედი.
3 უთ	13 ან მეტი ქულა, თანაბარი განაწილება
4♡	13 - 15 ქულა და 4 ან მეტი გული

მიაქციეთ ყურადღება მხარდაჭერას. შესაძლოა უცნაურად მოგეჩვენოთ, რომ 16 და მეტი ქულით "3♡", ხოლო უფრო ნაკლები ქულებით "4♡". ეს გამოწვეულია იმით, რომ 4♡ გეიმია, ხოლო 16 ქულა უკვე იძლევა უფრო მაღალი თამაშის, შლემის იმედს. ამის გასარკვევად არ არის საჭირო აჩქარება. თუ ამ სქემას გამოიყენებთ თქვენი პარტნიორი საკმაოდ ინფორმირებული აღმოჩდება. ძლიერი ხელის შემთხვევაში კიდევ დარჩება სავაჭრო სივრცე დასაზუსტებლად, თუ ეს საჭიროება იქნება.

N10

ისევ მაგალითი შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატიდან წყვილთა შორის. W - E წყვილი გერმანიიდან, N - S წყვილი შეერთებული შტატებიდან. ამ დარიგებაში გერმანელმა წყვილმა დანიშნა 3 უთულფო, გამთამაშებელი E.

♠ V 8 7 3
♡ 7 4 3 2
◇ 10 8 5
♣ D 2

♠ A D 9 6 ♡ 10 9 8 ◇ V 9 4 ♣ K 9 4 — N W E S — ♠ 10 4 ♡ A K D 6 ◇ K 6 3 ♣ A V 6 5

♠ K 5 2
♡ V 5
◇ A D 7 2
♣ 10 8 7 3

S-მა გათამაშება წამოიწყო ♠2-ით. მეექვსე სვლაზე E-ს საკმაოდ უფიქრია. მან მოინდომა 11-ის აღება, რაც მას ამ დარიგებაში მაღალ ადგილს მისცემდა. ბევრი ფიქრის შემდეგ E-მ ჩათვალა, რომ აგურის A აქვს N-ს და დადო K.

ამ გადაწყვეტილებაზე მას უთუოდ S-ის მიერ მეხუთე სვლაზე მცირე აგურის ჩაგდებამ იმოქმედა. გათამაშების დროს დამცველები მიმართავენ ინფორმაციის გადაცემის საშუალებებს, რომელზედაც შემდგომ ვისაუბრებთ. მცირე კარტის ჩაგდება, როგორც ეს მეხუთე სვლაზე გააკეთა S-მა, პარტნიორს მიანიშნებს, რომ მას არ სურს ამ ფერში სვლა. S-ს რომ უნდოდეს სვლა აგურში იგი ჩაიტანდა 7-ს ორიანის მაგივრად. ამ კონკრეტულ შემთხვევაში S ამ შეტყობინებას იძლევა არა N-სათვის (S დარწმუნებულია, რომ N-ს სვლა არ ექნება), არამედ გამთამაშებლის დასაბნევად, რასაც მიაღწია კიდეც. ამან N - S წყვილს მისცა საშუალება აეღოთ სამი შემდგომი აღება და წყვილებს შორის ამ დარიგებაში საკმაოდ მაღლა დადგნენ.

	S	W	N	E
1	♠2	♠6	♠7	♠10*
2	♠K	♠A*	♠3	♠4
3	♡5	♡8	♡3	♡A*
4	♡V	♡9	♡2	♡K*
5	◇2	♡10*	♡4	♡6
6	◇A*	◇4	◇8	◇K
7	◇7	◇9	◇10*	◇3
8	◇D*	◇V	◇5	◇6

შეეცადეთ იპოვოთ სწორი გათამაშება, რაც ბუნებრივია უფრო ადვილია როცა ოთხივე ხელი იცი.

ასევე ეცადეთ ააგოთ აუქციონი. აუქციონს ამ დარიგებაში იწყებს E.

ქრონიკორდი